პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 24 ივლისი, 1951 წ. № 172 (9026). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

თავისუფალ ხალხთა კავშირი და მეგობრობა — „პრავდის" 23-VII მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოსა და დონბასის მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისა და საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვის სიტყვები პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში (მე-2 და მე-3 გვერდი).
კოლხეთის შემოქმედებითი განვითარების გზა (მე-3 გვერდი).
მცხეთელი კოლმეურნეები უხვ მოსავალს იღებენ (მე-3 გვერდი).
პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავის დღესასწაული (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გამო (მე-4 გვერდი).
სინხუას სააგენტო იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების ამერიკული პროექტის შესახებ (მე-4 გვერდი).
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს განცხადება (მე-4 გვერდი).

# თავისუფალ ხალხთა კავშირი და მეგობრობა

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის დიდმა ისტორიულმა გამარჯვებამ გამოიწვია ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა განთავისუფლება ფაშიზმისა და იმპერიალიზმის უღლისაგან. განთავისუფლებულ ხალხთა წინაშე გაიხსნა ეროვნული და სოციალური აღორძინების გზა, ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შენების გზა, სოციალიზმის გზა.

პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის განთავისუფლებულმა ხალხებმა თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მოსპეს ექსპლოატატორების — კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა, რომლებიც უცხოელ დამპყრობლებთან კავშირში გამოდიოდნენ მშრომელთა თავისუფლების ჯალათებისა და სულთამხუთავების როლში. ძველი ანტისახალხო რეჟიმების—ხალხთა უუფლებობის, ექსპლოატაციისა და სიღატაკის რეჟიმების — ნანგრევებზე ამ ქვეყნების მუშათა კლასი მშრომელ გლეხობასთან და დემოკრატიულ ინტელიგენციასთან კავშირში ქმნის ახალ, სამართლიან, პროგრესულ საზოგადოებრივ წესრიგს, აშენებს ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფოებს.

ხელმძღვანელობენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიით, სწავლობენ რა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძოლის გამოცდილებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა დარაზმეს და შეაკავშირეს ხალხთა მასები დიდ რევოლუციურ გარდაქმნათა განსახორციელებლად.

ახლა ყველა ხედავს, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა, რომლებსაც კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ, აირჩიეს იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლების ერთადერთი სწორი გზა, ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის გზა.

სახალხო-დემოკრატიული წყობილება უზრუნველყოფს ეკონომიკისა და კულტურის წარმატებით განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სახალხო ხელისუფლებამ თავის გამგებლობაში მოაქცია მბრძანებელი მაღლობები ეკონომიკაში—ნაციონალიზებული მრეწველობა, ბანკები, ტრანსპორტი, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, გადასცა მემამულეთა მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს. ამით ძირი გამოეთხარა კაპიტალიზმს, ხალხთა ექსპლოატაციის სისტემას. ფართო მასების მტკიცე მხარდაჭერამ საშუალება მისცა სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებს გაეჩაღონ წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია შედარებით მოკლე ვადაში, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების დაუშრეტელ შესაძლებლობათა დამაჯერებელი მაჩვენებელია.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების თვალსაჩინო წარმატებათა ერთ-ერთი მაგალითია პოლონეთის რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები, რესპუბლიკისა, რომელიც დღეს სამშობლოს აღორძინების მეშვიდე წლისთავს დღესასწაულობს. სახალხო პოლონეთმა ვადამდე შეასრულა სახალხო მეურნეობის აღდგენის სამწლიანი გეგმა.

ახალი დიდი პერსპექტივები გადაშალა პოლონელი ხალხის წინაშე ეკონომიური განვითარების ექვსწლიანმა გეგმამ, სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის გეგმამ, რომელიც მიღებულ იქნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ინიციატივით.

ახალშენებათა ქვეყანას უწოდებს სიყვარულით პოლონელი ხალხი თავის თავისუფალ სამშობლოს. და მართლაც, მთელ პოლონეთში უდიდესი მშენებლობაა. ექვსწლედის მანძილზე პოლონეთში აგებულ იქნება 1.287 ახალი საწარმო. ექვსწლედის ბოლოსათვის ფოლადის წარმოება პოლონეთში გაიზრდება ხუთჯერ, ქვანახშირის ამოღება—სამჯერ. მთელი სამრეწველო პროდუქცია გადიდდება ორნახევარჯერ და კიდევ მეტად.

პოლონელი ხალხი, დღესასწაულობს რა თავისი სამშობლოს აღორძინების მეშვიდე წლისთავს, სიყვარულით მიაპყრობს თვალს საბჭოთა კავშირს, ამხანაგ სტალინს. პოლონელი მშრომელები თავიანთ უსაზღვრო მადლობას აცხადებენ ფაშისტური ტირანიისაგან განთავისუფლებისათვის, ძმური უანგარო დახმარებისათვის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში, იმპერიალისტების ხელყოფისაგან პოლონეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

ექვს წელზე მეტი ხნის წინათ, 1945 წლის აპრილში, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა, დაახასიათა რა ამ ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობა, თქვა:

**„ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოასწავებს ძირფესვიან მობრუნებას საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობაში კავშირისა და მეგობრობისაკენ, რაც დამყარდა გერმანიის წინააღმდეგ ახლანდელი განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში და რაც ახლა ფორმალურ განმტკიცებას ჰპოვებს ამ ხელშეკრულებით“.**

კავშირი და მეგობრობა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კიდევ უფრო განმტკიცდა, ორივე ქვეყნის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდა, ისინი უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე ძმური თანამშრომლობა დამაჯერებლად ცხადყოფს თავის დიად ცხოველმყოფელ ძალას, იგი დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის განმტკიცების საქმეში.

პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში წარმოთქმულ სიტყვაში პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოლესლავ ბერუტმა მიმართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციას თხოვნით: „გადაეცით საბჭოთა კავშირის ხალხებს, საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადს დიდ სტალინს, რომ ჩვენ გამსჭვალული ვართ მათდამი ღრმა ერთგულებით, სიყვარულითა და პატივისცემით.

...ჩვენ გთხოვთ გადასცეთ საბჭოთა კავშირის ხალხებს და დიდ სტალინს ჩვენი მადლობა იმ ყოველმხრივი და უანგარო დახმარებისათვის, რასაც ისინი ყოველთვის გვიწევენ ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განვითარების საქმეში. გთხოვთ გადასცეთ მათ, რომ პოლონელ ხალხს საბჭოთა კავშირი მიაჩნია მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის ბურჯად, რომ დიდი სტალინის წინამძღოლობით, მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში პოლონელი ხალხი ძალღონეს არ დაიშურებს“.

შემოქმედებისა და დიდ რევოლუციურ გარდაქმნათა პათოსით გამსჭვალულნი არიან სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელები. ყველა ამ ქვეყანაში ეკონომიკის განუხრელი აღმავლობაა, წარმატებით ხორციელდება ინდუსტრიალიზაციის გეგმები. სამრეწველო პროდუქციის ზრდამ მარტო 1950 წელს შეადგინა: უნგრეთში — 35,1 პროცენტი, რუმინეთში — 37 პროცენტი, ბულგარეთში — 23,3 პროცენტი. ზრდის ასეთი ტემპი კაპიტალისტურ სამყაროს თავის საუკეთესო ხანაშიც კი არ ჰქონია. ამის შედეგად სამრეწველო წარმოებამ 1951 წლისათვის ომამდელ დონეს გადააჭარბა ბულგარეთში ორნახევარჯერ, უნგრეთში — ერთიორად და უფრო მეტად. და ეს მაშინ, როცა ევროპის მარშალიზებული ქვეყნების სამრეწველო წარმოება უკან-უკან მიდის. დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონობით მშრომელნი ექსპლოატაციის უღელქვეშ გმინავენ, უმუშევრობის, შიმშილისა და სიღატაკის საშინელებას განიცდიან.

სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა მტკიცე დასაყრდენს მათს გზაზე სოციალიზმისაკენ წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კავშირი და მეგობრობა. მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში ჩაბმული საბჭოთა კავშირის ხალხები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტი აგრესორების ხრიკებს, ყოველნაირად განამტკიცებენ თავისუფალი ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი იზრდება და მტკიცდება. ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის საბჭოთა კავშირთან ერთად მტკიცე ბრძოლას ეწევიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, მრავალმილიონიანი თავისუფალი ჩინელი ხალხი.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკშია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ყველა ქვეყანაში ფართოვდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა.

ახალი ცხოვრების მშენებელ თავისუფალ ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა ვითარდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების, ლენინ-სტალინის პრინციპების საფუძველზე. კომუნისტური და მუშათა პარტიები მშრომელებს ზრდიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ-სტალინური პრინციპებისადმი ერთგულების და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

თავისუფალ ხალხთა კავშირი და მეგობრობა დიადი ისტორიული მონაპოვარია. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშით, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები ამტკიცებენ სსრ კავშირის ხალხებთან მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას, მტკიცედ მიდიან სოციალიზმის გზით.

„პრავდის“ 23-VII მოწინავე

## გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანი ამხ. კობახიძე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიგრიაული და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული გარეუბნის რაიონში ამხ. ძივაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 23 ივლისისათვის 101 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად). სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 1.693 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე გასულ წელს.**

**ხორბლის ჩაბარება გრძელდება.**

## წნორის მტს-ის ახალი ვალდებულება

წნორის მტს-ის კოლექტივმა 20 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღების გეგმა. აღებულია 5.260 ჰექტარი პურეულის მოსავალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.100 ჰექტარისა.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დამატებით აიღოს მოსავალი 300 ჰექტარზე.

## ზეგეგმითი აგური და კირი

**ხაშური.** (საკ. კორ.). ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივი მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობს. ქარხანამ 15 ივლისისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 200 ათასი ცალი წითელი აგური და დააყალიბა 512 ათასი ცალი ნედლი აგური. განვლილ ექვს თვეში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა სამი პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა ორი პროცენტით.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს სურამის კირის ქარხნის კოლექტივიც, რომელმაც ექვსნახევარი თვის დავალება 116 პროცენტით გაანაღდა. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 10,2 პროცენტით. დაზოგილია 150 ტონა საწვავი. ქარხანამ ნახევარ წელიწადში სახელმწიფოს მისცა 100 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

# საქართველოსა და დონბასის მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრება

## საქართველოს მეშახტეების დელეგაციის წევრთა შთაბეჭდილებანი

**საქართველოსა და დონბასის მეშახტეები ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული. ისინი აქამდე მიწერ-მოწერის საშუალებით აცნობებდნენ ერთმანეთს თავიანთი მუშაობის გამოცდილებას და მოპოვებულ წარმატებებს.**

**ამ დღეებში საქართველოს მეშახტეთა დელეგაცია დონეცელ მეშახტეთა მიწვევით დონბასში გაემგზავრა, სადაც ერთი კვირა დაჰყო. დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს ვოროშილოვგრადის ოლქის ქვანახშირის მრეწველობის მოწინავეთა თათბირის მუშაობაში. ეს თათბირი მიძღვნილი იყო დონბასელ მეშახტეთა მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის შესრულების მიმდინარეობის შემოწმებისადმი. თათბირის დამთავრების შემდეგ დელეგატები გაეცნენ დონბასის მოწინავე შახტების მუშაობას და ამ დღეებში დაბრუნდნენ საქართველოში.**

**ახლა დელეგატები თავიანთ შახტებში საუბრებს აწყობენ და მეშახტეებს უზიარებენ დონბასში მიღებულ შთაბეჭდილებებს და გამოცდილებას, მოუთხრობენ იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან დონეცელი მეშახტეები საქართველოს მეშახტეებთან შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.**

**ქვემოთ ვაქვეყნებთ საუბარს ქართველ მეშახტეთა დელეგაციის წევრებთან.**

### გამოვიყენებთ დონბასელთა გამოცდილებას

**ქ. თათარიშვილი** — ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის უფროსი

—სიხარულით გავემგზავრე დონბასში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 10 წლის განმავლობაში დონბასის შახტებში ვმუშაობდი. დიდი ცვლილებები მომხდარა ამ ბოლო წლების მანძილზე დონბასში. განსაკუთრებული შთაბეჭდილება როგორც ჩემზე, ისე დელეგაციის ყველა წევრზე მოახდინა შახტ „ცენტრალნაია-ბოკოვსკაიას“ დათვალიერებამ. ეს შახტი აღდგენის პროცესშია. ოთხი ლავიდან, რომლებიც ამჟამად აქ საექსპლოატაციოდ არის გადაცემული, ორი ლავა ციკლური გრაფიკით მუშაობს. აღნიშნულ ლავებში სანიმუშოდ სრულდება ციკლურობის ნორმატივები. ახლა დანარჩენ ლავებსაც ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადასაყვანად ამზადებენ.

შახტს აქვს ქვანახშირის უახლესი გამაუხვებელი ფაბრიკა, კარგი აბანოები, დიდი ნაყოფიერებით მომუშავე სამთო კომბაინები და სხვა მექანიზმები. სხვათა შორის ამ შახტის მთავარი მექანიკოსი ნ. ივანოვი ტყიბულის შახტებში მუშაობდა. შახტის უფროსთან ამხანაგ ბორზიხთან ჩვენ შევთანხმდით, რომ სისტემატურად გავუგზავნით ერთმანეთს წერილებს, რომლებშიც გავუზიარებთ ციკლური გრაფიკით მუშაობის შედეგებს.

ჩვენი მოგზაურობის დასკრულს ვნახულე სტახანოვური მოძრაობის პირველი კერა — ქალაქი კადიევკა. ამ ქალაქმა, ისევე როგორც დონბასის სხვა ქალაქებმა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეშახტეთა კულტურის სასახლე, კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ლამაზი, ელექტროლამპიონებით გაჩირაღდნებული ქუჩები. მწვანე ნარგავების სიუხვე, შესანიშნავი საბავშვო დაწესებულებანი.

დონბასში მიღებულ გამოცდილებას ჩვენ პრაქტიკულ მუშაობაში გამოვიყენებთ და ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ ვიყოთ საბჭოთა კავშირის მოწინავე მეშახტეთა რიგებში, ხელი შევუწყოთ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის სისტემაში ლავების ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადაყვანას.

### წარუშლელი შთაბეჭდილებანი

**ფ. მიტნიკოვი** — ხაპატი მეშახტე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტის გამყვანი

— უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო ის ძმური და გულთბილი დამოკიდებულება, რომელიც ვიგრძენით უკრაინაში. ჩვენმა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ვოროშილოვგრადის ოლქის სტახანოველ მეშახტეთა შეკრებაში, რომელიც დიდი აღმავლობით ჩატარდა. შემდეგ დავათვალიერეთ ტრესტ „სვერდლოვუგოლის“ შახტი, დაწვრილებით გავეცანით მისი უბნების მუშაობას. ყველგან იგრძნობა ახლისათვის ბრძოლა. განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწია შახტის კოლექტივმა ციკლური გრაფიკით მუშაობის დანერგვის საქმეში. ამ ახალი მეთოდით მუშაობაზე გადასვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მეშახტის შრომის ნაყოფიერება და ხელფასი.

შახტის დათვალიერების შემდეგ დელეგაციის წევრებს საუბარი გვქონდა დონეცელ მეშახტეებთან მათი მუშაობის გამოცდილების გაცნობის მიზნით. დიდი იყო ჩემი სიხარული, როდესაც ამ საუბარში მონაწილეობა მიიღო შახტის მოწინავე მუშამ ამხ. მამონოვმა, რომელთანაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი ტყვარჩელში, სტალინის სახელობის შახტში. ამხ. მამონოვის თვიური გამომუშავება 5-6 ათას მანეთს შეადგენს.

დონბასი და კერძოდ ქალაქი კრასნი ლუჩი დღითიდღე უფრო მშვენიერდება და ლამაზდება. აქ, კრასნი ლუჩის შახტებში, მე განუწყვეტლივ 12 წელიწადს ვმუშაობდი ჩემი სიყრმის პერიოდში. ბუნებრივია ის გრძნობა, თუ რა დიდი კმაყოფილება ვიგრძენი მშობლიური ადგილების დათვალიერებით, დონეცის მოწინავე მეშახტეებთან შეხვედრით. აქ თითეულ ნაბიჯზე იგრძნობა ზრუნვა მეშახტეებისადმი, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისადმი.

ტყვარჩელში დაბრუნებისას ახალი ენერგიით შევუდექი მუშაობას და პირობას ვიძლევი, რომ წელს სამი წლის ნორმას შევასრულებ.

### მტკიცე მეგობრობა

**პ. ნანიკაშვილი** — ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეხუთე უბნის უფროსი

— როგორც უბნის უფროსს, მე სხვა საკითხებთან ერთად მაინტერესებდა გამეცნობოდი ტრესტ „დონბასანტრაციტის“ შახტების მოწინავე უბნის უფროსების მუშაობის გამოცდილებას, მათი მუშაობის პრაქტიკას. ჩემი სურვილი ასრულდა. პირადად გავეცანი საუკეთესო უბნის უფროსებს ამხ. ლარინს და ამხ. შერშნევს (შახტი „ცენტრალნაია - ბოკოვსკაია“). განსაკუთრებით დამაინტერესა ამხ. ლარინის უბნის მუშაობის გაცნობამ. უბანში ყურადღებას იპყრობს შრომის სანიმუშო ორგანიზაცია. უბანი ციკლური გრაფიკით მუშაობს. ლავა კარგად არის მოვლილი, გამაგრებული და წესრიგზე მოყვანილი. ამას ხელს უწყობს ფენების კარგი განლაგება და სხვა გეოლოგიური პირობებიც.

მე ვიყავი ამხ. ლარინთან იმ დროს, როდესაც იგი საგანრიგოში სამთო ოსტატებს სამუშაო განაწესს აძლევდა. უბანში ზუსტად იცავენ ციკლური მუშაობის გრაფიკს და კარგ შედეგებსაც აღწევენ. დონბასის შახტებში განსაკუთრებით მომეწონა წესრიგი და სისუფთავე, დისციპლინა და სიზუსტე, მექანიზაციის მაღალი დონე.

შევუთანხმდი ამხანაგებს ლარინს და შერშნევს, რომ დავამყარებ მათთან მჭიდრო კავშირს და პერიოდულად გავუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს უბნებზე მუშაობის გამოცდილებას. დონბასის მოწინავე კოლექტივების გამოცდილების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

ჩვენი უბნის კოლექტივის სახელით პირობას ვიძლევი, რომ 1951 წლის გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ, მოკლე დროში ავითვისებთ ციკლური გრაფიკით მუშაობას და ამ საქმეში ფართოდ გამოვიყენებთ დონბასის მოწინავე უბნების გამოცდილებას.

### ვიმუშავებთ გაორკეცებული ენერგიით

**ივანე ორჯონიკიძე** — ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მებიგე

**ლეონტი ტუღუშავა** — ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტის გამყვანავი მანქანის მემანქანე

— ჩვენ, ორივენი, ახალგაზრდა მეშახტეები ვართ. დონბასის შახტებმა, სადაც პირველად მოგვიხდა ყოფნა, ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. შახტების მთლიანი მექანიზაცია, მექანიზმების ავტომატური მართვა და სხვა ტექნიკური სიახლენი დიდად უწყობენ ხელს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების ზრდას.

უშუალოდ შახტში, სამუშაო ადგილზე გავეცანით მოწინავე მეშახტეებს, შევისწავლეთ მათი მაღალ-ოსტატური შრომის ხერხები.

დიდი კმაყოფილებით დავბრუნდით მშობლიურ შახტებში. დონბასში გატარებული დღეები ჩვენთვის დიდი სკოლა იყო.

ახალი ენერგიით, მთელი ახალგაზრდული ძალღონით ვიმუშავებთ, რათა პირნათლად შევასრულოთ ის ვალდებულებანი, რაც საქართველოს მეშახტეებმა აიღეს საყვარელი ბელადის დიდი სტალინის წინაშე. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ უფრო მტკიცე და საქმიანი იყოს დონბასისა და საქართველოს მეშახტეების ძმური მეგობრობა.

## საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საშახტო უბნები

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის და მეშახტეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ჟიურიმ შეაჯამა მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1951 წლის მეორე კვარტალში.

საშახტო საექსპლოატაციო უბნებს შორის მეორე კვარტალში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის პირველი ჯილდო 30.000 მანეთის რაოდენობით მიკუთვნებული აქვს ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის პირველი უბნის კოლექტივს, რომელსაც სამთო ტექნიკოსი შ. შოთაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის მეშახტეებიდან განსაკუთრებით აღინიშნა მნგრეველ ს. გვინეტაძის, გამყვან ფ. კრასიკოვის და მებიგე გ. კეთილაძის მაღალნაყოფიერი მუშაობა. მეორე კვარტალში ამ უბნის კოლექტივმა ქვანახშირის მოპოვების გეგმა შეასრულა 114,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას გადააჭარბა 15,4 პროცენტით და შეამცირა ქვანახშირის თვითღირებულება 21,6 პროცენტით.

მეორე ჯილდო — 22.500 მანეთი მიკუთვნებული აქვს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტის მესამე უბნის კოლექტივს (უბნის უფროსი ნ. პროვოტოროვი), ხოლო მესამე ჯილდო გელათის შახტის იმ უბანს, რომელსაც სამთო ტექნიკოსი პ. ჩიხლაძე ხელმძღვანელობს.

შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელმა ჟიურიმ ამასთანავე აღნიშნა ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის პირველი უბნის კოლექტივის (უბნის უფროსი ინჟინერი ი. იოსელიანი) კარგი მუშაობა.

გარდამავალი საქართველოს ქვანახშირის კომბინატის და მეშახტეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა სამუდამოდ ჩაბარდეს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის საუკეთესო საშახტო კოლექტივს — ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტს.

## ფიზკულტურის საკავშირო დღე მოსკოვში

22 ივლისს დედაქალაქის მშრომელნი აღნიშნავდნენ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სტუდენტთა საკავშირო სასპორტო შეჯიბრების მონაწილეთა პარადი. შემდეგ მოეწყო შეჯიბრება ძძლეოსნობაში.

ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად დიდი სეირნობა გაიმართა დედაქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებში. 70 ათასზე მეტი მოსკოველი იყო ი. ბ. სტალინის სახელობის იზმაილოვსკის პარკში. აქ მიმდინარეობდა სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ საჩვენებელი გამოსვლები ფრენბურთში, კალათბურთსა და ტანვარჯიშში.

ვოლოკოლამსკის გზატკეცილის 25-ე კილომეტრზე გაიმართა დედაქალაქის უძლიერეს მოტოციკლისტთა შეჯიბრება. კროსში სხვადასხვა კლასის მანქანების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდნენ ი. აბრამოვი („დინამო“), ვ. პილაევი („დინამო“), ნ. სოკოლოვი (სამხედრო-საჰაერო ძალები), ნ. მიხეევი (სამხედრო-საჰაერო ძალები), ი. ოზოლინი (სამხედრო-საჰაერო ძალები) და სხვები.

მოსკოვის საგუნდო პირველობა და გარდამავალი ჯილდო სამოტოციკლეტო სპორტში მოიპოვეს „დინამოს“ სპორტსმენებმა.

სასპორტო შეჯიბრებანი ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად გაიმართა აგრეთვე დედაქალაქის სხვა სტადიონებსა და სასპორტო მოედნებზე. (ტასსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

## პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში

ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით, საბჭოთა ხალხის სახელით, საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და პირადად ამხანაგ სტალინის სახელით საბჭოთა დელეგაცია ძმურად მოგესალმებათ და სულით და გულით მოგილოცავთ თქვენ და მთელ პოლონელ ხალხს პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავის დღესასწაულს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია, ყველანი ფეხზე დგებიან, დიდხანს გაისმის შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

7 წლის წინათ დაიწყო პოლონელი ხალხის ახალი ისტორია, დაიწყო პოლონეთის ნამდვილი ეროვნული და სოციალური აღორძინება. პოლონეთის სახელმწიფოს ამ ახალი ისტორიის დასაწყისი უნდა მიეკუთვნოს იმ დღეს, როდესაც შეიქმნა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი.

ჯერ კიდევ პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიის მეტი ნაწილი ეკავათ ჰიტლერელთა ურდოებს, ჯერ კიდევ იღვრებოდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა სისხლი დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე, ჯერ კიდევ ხანძართა კვამლში იყო გახვეული ქალაქები და სოფლები, რომლებსაც სტოვებდნენ აგრესორის უკანდახეული ჯარები, როდესაც საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევით, რომლის მხარდამხარ მიდიოდნენ წინ პოლონეთის ახალი არმიის მებრძოლი ნაწილები, დაიწყო პოლონეთის განთავისუფლება ფაშისტური ოკუპაციისაგან. ამ მომენტში პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნამ კაშკაშა შუქით გაუნათა პოლონელ ხალხს თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური აღორძინების გზა.

7 წლის წინათ პოლონეთის მუშათა კლასი თავისი მუშათა პარტიის მეთაურობით პოლონელი ხალხის ხელმძღვანელ ძალად გადაიქცა. დამონებული, ექსპლოატირებული კლასისაგან, როგორიც იყო იგი ძველ ბურჟუაზიულ-მემამულურ პოლონეთში, პოლონეთის მუშათა კლასი ახალი, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შემქმნელად გადაიქცა. გაერთიანდა რა მშრომელი გლეხებისა და დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, პოლონეთის მუშათა კლასმა დარაზმა პოლონელი ხალხის საუკეთესო ძალები და დაიწყო ახალი, ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა.

ახლა ყველა ხედავს, რომ პოლონეთის მუშათა პარტიამ, ამჟამად გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ, რომელმაც პოლონეთის მუშათა კლასის, პოლონელი ხალხის საუკეთესო ძალები დარაზმა საბრძოლო რიგებად თავისი გამოჩენილი ხელმძღვანელის — ამხანაგ ბერუტის მეთაურობით **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან)**, სწორი გზა აირჩია თავისი სამშობლოს აღორძინებისათვის. ცნობილია, რომ მთავარი საკითხი, რომელიც წამოიჭრა ახალი ხელისუფლების წინაშე, იყო საკითხი პოლონელი გლეხობისათვის მიწის მიცემის შესახებ. ჩამოართვა რა მიწა მემამულეებს და გადასცა რა გლეხებს, პოლონეთის სახალხო-დემოკრატიულმა მთავრობამ ეს მთავარი საკითხი ხალხის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ამით უზრუნველყო ახალი ხელისუფლების შემდგომი წარმატებანი. იგი გაბედულად შეუდგა გლეხობის სანუკვარი ოცნების განხორციელებას და ამით მოიპოვა გლეხთა მასების ნდობა. ამ დროიდან სახალხო დემოკრატიის რეჟიმმა იწყო სწრაფად განმტკიცება, მიიღო ხალხის უმრავლესობის მტკიცე მხარდაჭერა. აგრეთვე გასაგებია, რომ საუკეთესო ადამიანები ინტელიგენციის წრიდან თანდათან მტკიცედ დადგნენ ახალი სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების მხარეზე.

ყოველივე ამან შექმნა პირობები პოლონეთის სახელმწიფოს სწრაფი ეკონომიური და პოლიტიკური აღორძინებისათვის. პოლონელმა ხალხმა წარმატებით შეასრულა თავისი ეკონომიური აღდგენის პირველი სამწლიანი გეგმა. ამის შედეგად სწრაფად გაჩაღდა სამრეწველო წარმოება, რამაც უკვე 1949 წელს ერთიორად გადააჭარბა ომამდელ დონეს, მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

სამწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისთანავე პოლონელი ხალხი შეუდგა მის მიერ მიღებული ექვსწლიანი გეგმის შესრულებას. აი უკვე მეორე წელია წარმატებით სრულდება ექვსწლიანი გეგმა. ამ გეგმის შესრულებას შედეგად მოჰყვება ექვსწლედის დამლევისათვის სამრეწველო პროდუქციის ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა 50 პროცენტით. ასეთი გრანდიოზული ამოცანები შეიძლებოდა დასახულიყო მხოლოდ იმის მეოხებით, რომ პოლონეთის სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ განახორციელა მიწის რევოლუციური რეფორმა, გადასცა მემამულეთა მიწა გლეხებს, განახორციელა მსხვილი და საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტისა და ბანკების ნაციონალიზაცია, განახორციელა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ამით ძირი გამოუთხარა კაპიტალიზმს და ხალხის ექსპლოატაციის სისტემას. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთი მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას, სოციალიზმის საძირკვლის შექმნის გზას. **(ტაში).**

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, კარგად ვიცით, რომ ასეთი დიადი ამოცანების შესრულება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, მოწინავე ინტელიგენციას, განსაკუთრებით პოლონეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალებს და, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებულ მუშათა პარტიას, რომელიც სათავეში უდგას პოლონეთის რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ კლასობრივი მტერი ქალაქად და სოფლად, განსაკუთრებით კი კულაკობა, კიდევ არაერთხელ შეეცდება ხელი შეუშალოს პოლონელი ხალხის წინსვლას სოციალიზმისაკენ და შეაფერხოს იგი. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობები არაფერს არ ერიდებიან, არც ძირგამომთხრელ მოქმედებას, არც სისაძაგლეს, რათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შემოგზავნონ ჩვენს ქვეყნებში თავიანთი დაქირავებული აგენტები, არ იშურებენ ფულს ჯაშუშების, დივერსანტების, პროვოკატორების შემოსაგზავნად. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ პოლონეთის მუშებმა და გლეხებმა უკვე საკმაოდ დიდი გზა გაიარეს სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში და ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება შეიძინეს, რომ წარმატებით გაართმევენ თავს დასახულ ამოცანებს და შეძლებენ მტკიცედ წავიდნენ წინ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. **(ტაში).** სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის მტკიცე დასაყრდენი ამ გზაზე იყო, არის და იქნება კავშირი და მეგობრობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია, ყველანი ფეხზე დგებიან).**

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ექვსი წლის წინათ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების პოლიტიკური მნიშვნელობა ხაზგასმით არის აღნიშნული იმით, რომ საბჭოთა მხრივ მას ხელს აწერს ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის მრავალი შეძახილი: სტალინი!).** ხელშეკრულების ხელმოწერის დროს ამხანაგმა სტალინმა განმარტა დიდი ისტორიული მნიშვნელობა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ამ ხელშეკრულებისა, რომელმაც გააფორმა ჯერ კიდევ მანამდე შექმნილი ქაღალდზე დაუწერელი კავშირი და მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოსა და სახალხო-დემოკრატიულ პოლონეთს შორის.

მაშინ ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოასწავებს ძირფესვიან მობრუნებას საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობაში კავშირისა და მეგობრობისაკენ, რაც დამყარდა გერმანიის წინააღმდეგ ახლანდელი განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში და რაც ახლა ფორმალურ განმტკიცებას ჰპოვებს ამ ხელშეკრულებით.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე, როგორც ცნობილია, უხვად მოიპოვებოდა ურთიერთ უკარებლობის, მტრობისა და ხშირად აშკარა სამხედრო კონფლიქტების ელემენტები. ასეთი ურთიერთობა ასუსტებდა ორივე ჩვენს ქვეყანას და აძლიერებდა გერმანულ იმპერიალიზმს.

ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბოლოს უღებს და ასამარებს ამ ძველ ურთიერთობას ჩვენს ქვეყნებს შორის და ქმნის რეალურ ბაზას იმისათვის, რომ ძველი მტრული ურთიერთობა შეიცვალოს საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის კავშირისა და მეგობრობის ურთიერთობით". **(ტაში).**

ჩვენს ქვეყნებს შორის ხუთი საუკუნის მანძილზე არსებული ცუდი ურთიერთობა მიეკუთვნება ძველი, მეფისა და მემამულეთა რუსეთისა და ძველი, შლიახტური პოლონეთის ურთიერთობის ისტორიას. რა თქმა უნდა, წარსულშიც ორივე ხალხის საუკეთესო ადამიანები პოულობდნენ საერთო ენას, მხარს უჭერდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ შეექმნათ პირობები ჩვენს ხალხებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის. მაგრამ მრავალი საუკუნის მანძილზე ეს ურთიერთობა კი არ წესრიგდებოდა, არამედ ხშირად საქმე პირდაპირ სამხედრო შეტაკებამდეც მიდიოდა, რის შედეგადაც ბევრი უბედურება ხვდათ წილად ჩვენს ხალხებს. როგორც ცნობილია, ამით განსაკუთრებით დაზარალდა პოლონეთი, პოლონელი ხალხი, აგრეთვე უკრაინელი ხალხი, ბელორუსი ხალხი.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ამხანაგმა სტალინმა, შემდეგ, თქვა:

„უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში, ე. ი. ორი უკანასკნელი მსოფლიო ომის განმავლობაში, გერმანელებმა მოახერხეს გამოეყენებინათ პოლონეთის ტერიტორია, როგორც კორიდორი აღმოსავლეთში შემოსაჭრელად და როგორც ტრამპლინი საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. ეს შესაძლო გახდა იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მაშინ მეგობრული, მოკავშირეობის ურთიერთობა არ იყო. პოლონეთის ძველ მმართველებს არ სურდათ მოკავშირული ურთიერთობა ჰქონოდათ საბჭოთა კავშირთან. ისინი ამჯობინებდნენ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თამაშის პოლიტიკა ეწარმოებინათ. და, რასაკვირველია, არასასიამოვნო შედეგი მიიღეს... პოლონეთი ოკუპირებულ იქნა, მისი დამოუკიდებლობა გაუქმდა, ამასთან გერმანიის ჯარებს შესაძლებლობა მიეცათ, მთელი ამ დამღუპველი პოლიტიკის შედეგად, მოსკოვის კარიბჭემდე მოეღწიათ.

ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სპობს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ძველი და დამღუპველი თამაშის პოლიტიკას და სცვლის მას პოლონეთსა და მის აღმოსავლეთელ მეზობელს შორის კავშირისა და მეგობრობის პოლიტიკით".

ამხანაგ სტალინის ამ ბრწყინვალე სიტყვებში მოცემულია იმ პერიოდის ისტორია, რომელიც მოიცავს ორივე მსოფლიო ომს. როგორც პირველ მსოფლიო ომში, ისე მეორე მსოფლიო ომში პოლონეთი იყო კორიდორი, რომელიც გერმანელმა იმპერიალისტებმა გამოიყენეს აღმოსავლეთში შემოსაჭრელად და საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. მას შემდეგაც კი, როცა რუსეთში ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, და როცა საბჭოთა მთავრობამ უყოყმანოდ ცნო პოლონეთის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, განაცხადა რა მზადყოფნა კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად, პოლონეთის სახელმწიფოს მაშინდელმა მმართველებმა არ მოისურვეს მეგობრული მოკავშირული ურთიერთობა დაემყარებინათ საბჭოთა კავშირთან. ისინი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თამაშის პოლიტიკას ეწეოდნენ, მაგრამ სასტიკად შეცდნენ. ამ შეცდომის პირველი მსხვერპლი გახდა თვით პოლონეთი, პოლონელი ხალხი, რომელიც მაშინ მოკლებული იყო შესაძლებლობას გავლენა მოეხდინა სახელმწიფო საქმეებზე.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა აგრეთვე 1945 წლის 21 აპრილს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების დიდი მნიშვნელობა. მან მაშინ თქვა:

„სანამ ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირი არ იყო, გერმანიას შესაძლებლობა ჰქონდა გამოეყენებინა ჩვენს შორის ერთიანი ფრონტის არარსებობა, შეეძლო დაეპირისპირებინა პოლონეთი საბჭოთა კავშირისათვის და პირიქით და ამით ცალცალკე ერტყა მათთვის. საქმე ძირფესვიანად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირი დამყარდა. ახლა უკვე აღარ შეიძლება ჩვენი ქვეყნების ერთმანეთისათვის დაპირისპირება. ახლა საერთო მტრის წინააღმდეგ, გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენს ქვეყნებს შორის ერთიანი ფრონტია ბალტიკიდან კარპატებამდე". **(ტაში).**

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ექვსი წელი გავიდა. ამ წლების მანძილზე საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის კავშირი და მეგობრობა განმტკიცდა, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა უფრო მახლობელი გახდა, მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც. ამ ხნის განმავლობაში წარმოიშვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც მეგობრული ურთიერთობა დაამყარა, როგორც საბჭოთა კავშირთან, ისე პოლონეთთან. **(ტაში).** ამჟამად პოლონეთის მეზობლები არიან საბჭოთა კავშირი, სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამრიგად, მთელი თავისი სახმელეთო საზღვრის ხაზზე პოლონეთი მეზობლობს მეგობრულ სახელმწიფოებს, რაც არასოდეს არ მომხდარა პოლონეთის ისტორიაში, და რაც ხელსაყრელ პერსპექტივებს უსახავს პოლონეთის სახელმწიფოს.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ამ უკანასკნელი წლების ურთიერთობის განვითარებამ სავსებით დაადასტურა დიდი მნიშვნელობა ძირეული გარდატეხისა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობაში, რაც მოხდა ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებული მეგობრობისა და კავშირის შედეგად.

მას შემდეგ, რაც პოლონეთი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო გახდა და მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობისაგან განთავისუფლდა, სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის დამყარდა მტკიცე, მეგობრული ურთიერთობა — ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე ძმური თანამშრომლობის ურთიერთობა. განვლილი მოკლე ხნის მანძილზეც კი ამ თანამშრომლობის შედეგები გარკვეულად მოწმობენ, რომ ეს ურთიერთობა ვითარდება ჩვენი ხალხების ურთიერთსასარგებლოდ და საკეთილდღეოდ.

წარსულში, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პირობებში, პოლონეთის ეკონომიკა დაცემული იყო, მრეწველობა ხშირად დამღუპველ კრიზისს განიცდიდა, რასაც თან ახლდა მუშათა კლასისა და მშრომელი ინტელიგენციის უმუშევრობით გამოწვეული მთელი უბედურება. გლეხობა ღატაკურ ცხოვრებას ეწეოდა და მომავალს უიმედოდ შეჰყურებდა. თავის საგარეო ეკონომიურ ურთიერთობაში ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთი სავსებით დამოკიდებული იყო მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და მერყევ კაპიტალისტურ ბაზარზე და, ისახავდა რა ანტისაბჭოთა მიზნებს, არ სურდა საბჭოთა კავშირთან ჰქონოდა საქმე. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლონეთის საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირთან 1938 წელს სულ უმნიშვნელო ოდენობამდე დაეცა, რაც აშკარად საზარალო იყო განსაკუთრებით პოლონეთის სახელმწიფოსათვის.

ახლა, სახალხო-დემოკრატიული წყობილების პირობებში, პოლონეთი მიდის სწრაფი და განუხრელი ეკონომიური აღმავლობის გზით, იზრდება მრეწველობა, როგორც მძიმე, ისე მსუბუქი. წარმატებით ხორციელდება პოლონეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსი. განუხრელად უმჯობესდება მუშათა კლასის კეთილდღეობა. სოფლის მეურნეობაც აღმავლობის გზით მიდის. დაიწყო საწარმოო კოოპერატივების განვითარება სოფლად. ამ კოოპერატივებს სახელმწიფო სულ უფრო სერიოზულ დახმარებას უწევს ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რომლებიც საჭიროა მსხვილი კოოპერაციული სოფლის მეურნეობის მოსაწყობად. გლეხთა კეთილდღეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ომამდელ დონესთან შედარებით. სულ უფრო ფართოვდება პროდუქტებით ქალაქის მოსახლეობის მომარაგების შესაძლებლობა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მრეწველობის უზრუნველყოფა.

პოლონეთის ეკონომიური აღმავლობის მთელი საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პოლონეთს, საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა დამყარდა. ეს ურთიერთობა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მტკიცედ დაიგეგმოს პოლონეთის სახალხო მეურნეობის განვითარება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ურყევ და სულ უფრო მზარდ დახმარებაზე დაყრდნობით. საკმარისია ითქვას, რომ საქონელბრუნვა პოლონეთსა და სსრ კავშირს შორის მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა, ერთიხუთად გაიზარდა და ახლა აღწევს ისეთ ოდენობას, რომელიც ეკონომიურად განვითარებულ დიდ სახელმწიფოებს ახასიათებს.

პოლონეთსა და სსრ კავშირს შორის თანამშრომლობა ახლა მრავალ დარგში ვითარდება. სავაჭრო ურთიერთობის გარდა, თანამშრომლობა ვითარდება ტექნიკური და საწარმოო გამოცდილების გაცვლის დარგში, ძლიერდება კულტურული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის, მეცნიერთა და ხელოვანთა შორის, ახალგაზრდათა და ქალთა ორგანიზაციებს შორის. რამდენადაც საბჭოთა კავშირში უკვე ჩამოყალიბდა სოციალისტური საზოგადოება და იქ სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილებაა დაგროვებული, ჩვენს ქვეყნებს შორის ასეთ მზარდ დაახლოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის. **(ტაში).**

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა და განხორციელდა იმის მეოხებით, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა ახლა ვითარდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, ლენინ-სტალინის პრინციპების საფუძველზე, რომელთა ხელმძღვანელობითაც საფუძველი ჩაეყარა და მტკიცდება იმ ხალხთა ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომლებმაც თავი დააღწიეს კაპიტალისტურ მონობას. ეს თანამშრომლობა ემყარება დიდი და მცირე ხალხების თანასწორუფლებიანობის აღიარებას, მათ შორის ძმურ ურთიერთდახმარებას და ლენინ-სტალინის დროშით სოციალიზმის გამარჯვების საქმისათვის ერთობლივ ბრძოლას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ყველა ხედავს, თუ რა ბედი ეწია იუგოსლავიას, რომელიც მოტყუებით ჩაიგდეს ხელში ჯაშუშებმა და პროვოკატორებმა, რომლებმაც უღალატეს თავის ხალხს, მიჰყიდეს თავი ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს. ახლა ყველა ხედავს, რომ ტიტო-კარდელ-რანკოვიჩის ბანდამ უკვე აღადგინა კაპიტალისტური წესები იუგოსლავიაში, წაართვა ხალხს მთელი მისი რევოლუციური მონაპოვარი, აგრესიულ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იარაღად გადააქცია იუგოსლავია. გრძნობს რა, რომ იუგოსლავ ხალხს სძულს დამნაშავეთა ეს დაქირავებული ბანდა, რომელნიც ქურდულად მოექცნენ სათავეში ხელისუფლებას, იგი ჯერჯერობით ამ ხელისუფლებას ინარჩუნებს სისხლიანი ტერორით და მართვა-გამგეობის ფაშისტური ხერხებით. ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. იუგოსლავიის ხალხები მონახავენ თავისუფლების გზას და ტიტოს ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციის გზას. **(ტაში).**

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენ სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შენიღბული მტრების მიმართ, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხები ბოლომდე ერთგული უნდა იყვნენ ინტერნაციონალიზმის ლენინურ-სტალინური პრინციპებისა და დაიცვან ეს პრინციპები როგორც ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძველთა საფუძველი. **(ხანგრძლივი ტაში).**

დღეს, როცა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინგლის-ამერიკის ბლოკი უკვე დაადგა ახალი მსოფლიო ომის აშკარა მომზადების პოლიტიკისა და პირდაპირი აგრესიის აქტების გზასაც კი, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის მეგობრობასა და კავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის დაცვის საქმისთვისაც.

ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ის, რომ აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალი სახელმწიფოები დაადგნენ გამალებული შეიარაღების გზას და რომ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ახალი და ახალი სამხედრო ბაზების შექმნა აძლიერებს ომის საფრთხეს. ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ ფრანგ და სხვა სატელიტებთან ერთად უკვე შეუდგნენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და იაპონიის მილიტარიზმის აღდგენას. ისინი ჩქარობენ განახორციელონ ეს უიმედო ავანტიურისტული გეგმები, არ ერიდებიან არც საერთაშორისო შეთანხმებათა უხეშ დარღვევას. მაგრამ ამით არ შეიძლება დაიფაროს ის ფაქტი, რომ იმპერიალიზმის ბანაკში იზრდება ცალკეული ქვეყნების შინაგანი წინააღმდეგობანი, ამასთან მწვავდება ბრძოლა სახელმწიფოების მმართველ წრეებს შორის.

ამ პირობებში საჭიროა არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ ხალხების სიფხიზლე ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის საქმეში. მხოლოდ ეს შეიძლება მივიჩნიოთ მშვიდობის უზრუნველყოფის საიმედო გარანტიად.

ამ უკანასკნელ წლებში მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ბანაკი მნიშვნელოვნად განმტკიცდა. საბჭოთა კავშირთან ერთად მშვიდობის შენარჩუნებისათვის იბრძვიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და ჩვენი ისეთი ახალი ძლიერი მოკავშირე, როგორიცაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. **(ხანგრძლივი ტაში).** მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ძლიერდება კაპიტალიზმის ქვეყნებშიც, დასავლეთსა და აღმოსავლეთში. სწორედ ამიტომ გაისმა ასე ძლიერ ხმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისა, რომელმაც მოუწოდა კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტისა და დაზავებისაკენ.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის მეგობრობა და კავშირი განმტკიცდა ამ წლების მანძილზე. საფუძველი, რომელიც დიდმა სტალინმა ჩაუყარა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობას, საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმურ კავშირად გადაიქცა. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი ხალხები წინ მიდიან ერთი საერთო დროშით, მიდიან ერთი საერთო მიზნისაკენ. ასრულდა სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში მუშათა კლასის ისეთ სახელგანთქმულ მოღვაწეთა ოცნება, როგორიც იყო ფელიქს ძერჟინსკი, რომელსაც ამხანაგმა სტალინმა სამართლიანად უწოდა ოქტომბრის გმირი და რომელიც ამავე დროს დიდი პოლონელი პატრიოტი იყო.

პოლონელი ხალხის ახალი ისტორიის მერვე წლის მიჯნაზე საბჭოთა დელეგაცია მხურვალედ უსურვებს შემდგომ წარმატებებს სახალხო-დემოკრატიულ პოლონეთს, რომელიც აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას, იცავს მშვიდობის საქმეს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის ურღვევ მეგობრობასა და ძმურ კავშირს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის მთელი დარბაზის ხანგრძლივი შეძახილები ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ბერუტის პატივსაცემად).**

გაუმარჯოს პოლონელ ხალხს და მის პრეზიდენტს ბოლესლავ ბერუტს! **(მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).**

# საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის სიტყვა

## პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარისკაცთა და მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა, ოფიცერთა, გენერალთა და ადმირალთა სახელით გადმოგცეთ თქვენ და სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის რესპუბლიკის ყველა მშრომელს გულითადი სალამი და მოგილოცოთ ეროვნული დღესასწაული — პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავის დღე.

თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს პოლონეთის მშრომელნი და პოლონეთის ჯარის მეომრები ხვდებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებათა ვითარებაში.

მოკლე ხნის მანძილზე თქვენს ქვეყანაში განმტკიცდა სახალხო დემოკრატიის წყობილება. წარმატებით შესრულებულია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პირველი სამწლიანი გეგმა. აგრარული ქვეყნიდან პოლონეთი დიდად-განვითარებული ინდუსტრიის ქვეყანა ხდება. ამჟამად პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით პოლონეთის მშრომელი მასები ენთუზიაზმით იბრძვიან ექვსწლიანი გეგმის — სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის გეგმის შესრულებისათვის.

თქვენი წარმატებანი ცხადყოფენ სახალხო-დემოკრატიული წყობილების უდავო უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით, დაუშრეტელ შესაძლებლობებს, რასაც სახალხო ხელისუფლება შეიცავს.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ დიდ ბელადთან და პოლონელი ხალხის საუკეთესო მეგობართან—ამხანაგ სტალინთან ერთად დიდ პატივს სცემენ თქვენი ხალხის შემოქმედებითს შრომას და გულწრფელ სიხარულს განიცდიან მისი წარმატებების გამო.

წარმატებანი ახალი პოლონეთის მშენებლობაში შესაძლო გახდა ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩვენი მოძმე ხალხების წარმატებითი ერთობლივი შეიარაღებული ბრძოლის მეოხებით, ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმური თანამშრომლობის მეოხებით.

რუსული ანდაზა ამბობს: „მეგობარი ჭირში იცნობა". იმ მრისხანე დღეებში, როცა თქვენს ქვეყანას ფაშისტური დამონების საშინელი საფრთხე მოელოდა, ბევრმა მათგანმა, ვისაც თავი პოლონელი ხალხის მეგობრად მოჰქონდა, დაივიწყა თავისი ვალდებულება და არ აღმოუჩინა თქვენს ქვეყანას დახმარება მძიმე გაჭირვებაში. მხოლოდ საბჭოთა ხალხმა და მისმა ბელადმა, დიდმა სტალინმა გაუწიეს პოლონელ ხალხს უანგარო და ძმური დახმარება.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაათავისუფლეს პოლონეთის ხალხები ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან. მათ შექმნეს ხელსაყრელი პირობები, რამაც საშუალება მისცა პოლონეთის დემოკრატიულ ძალებს, მშრომელებს თავიანთ ხელში აეღოთ თავისი ხალხის ბედი და დაეწყოთ ახალი ცხოვრება სახალხო დემოკრატიის საფუძვლებზე.

მძიმე და შეუპოვარი იყო საბჭოთა არმიის ბრძოლა ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან პოლონეთის განთავისუფლებისათვის. მხოლოდ საბჭოთა ჯარების განსაკუთრებული მამაცობის, გმირობისა და მხედრული ოსტატობის შედეგად, რომლებმაც სასახელოდ შეასრულეს თავიანთი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ნება და გეგმები, ეს ბრძოლა დამთავრდა მტრის სრული განადგურებით და პოლონეთის განთავისუფლებით.

საბჭოთა არმიამ მთელი რიგი მძლავრი დარტყმები აგემა ჰიტლერის ჯარებს პოლონეთში, ცალკეულ ჯგუფებად დაქსაქსა, ხოლო შემდეგ მოსპო ისინი ისე, რომ არ მისცა საშუალება უკან დაეხიათ დასავლეთისაკენ ოდერსა და ნეისეს იქით.

გავიდა რა ოდერსა და დასავლეთ ნეისესთან, საბჭოთა არმიამ უზრუნველყო პოლონეთის იმ ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნება პოლონელი ხალხისათვის, რომელზეც დიდხანს ბატონობდნენ გერმანელი კაპიტალისტები და მემამულეები.

საბჭოთა არმიასთან ხელიხელჩაკიდებულნი გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ სახელოვანი პოლონელი პატრიოტები. ამ ბრძოლაში იშვა პოლონეთის ახალი არმია, რომლის შექმნა დაიწყო 1943 წელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონეთის 1-ლი დივიზიის ჩამოყალიბებით. პირველი დივიზიის შემდეგ ჩამოყალიბდა მთელი რიგი ახალი ნაწილები და შენაერთები, რომლებმაც შექმნეს პოლონეთის ჯარის 1-ლი არმია, რომლის რიგებში 1944 წლის ივლისში იყო 120 ათასზე მეტი კაცი. პოლონეთის საჯარისო ფორმირებანი საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის დიდი ყურადღებით და მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი.

პირველხარისხოვანი საბჭოთა საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული პოლონეთის 1-ლი არმია მტრისათვის მრისხანე ძალა იყო.

პოლონეთის ახალი არმიის პირველმა ნაწილებმა თავიანთი საბრძოლო მოქმედება დაიწყეს ჯერ კიდევ ქალაქ

(დასასრული მე 3 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის სიტყვა

(დასასრული)

...ენინის რაიონში — სმოლენსკის და-...ვლეთით. აქ პოლონეთის ჯარის ჯა-...ისკაცებმა და ოფიცრებმა მიიღეს პირ-...ელი საბრძოლო ნათლობა და მამაცო-...ის, უშიშარობისა და მასობრივი გმი-...რობის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩ-...ვენეს.

შემდეგში პოლონეთის 1-ლი არმია, ...ოქმედებდა რა ბელორუსიის 1-ლი ...რონტის შემადგენლობაში, უშუალო ...ონაწილეობას იღებდა უდიდეს ოპერა-...ციებში, მტრის ვარშავის დაჯგუფების ...ანადგურებასა და პოლონეთის დედა-...ქალაქის — ვარშავის განთავისუფლე-...ბაში, მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ ...პომერანიის დაჯგუფების განადგურე-...ბაში, ბერლინის ოპერაციაში და საბ-...ჭოთა არმიასთან ერთად გავიდა ელ-...ბაზე.

...დამამთავრებელ ოპერაციებში მონა-...წილეობას იღებდა პოლონეთის მე-2 ...არმიაც, რომელიც წარმატებით მოქმე-...დებდა უკრაინის 1-ლი ფრონტის შე-...მადგენლობაში დრეზდენის საერთო მი-...მართულებით.

...მტრის წინააღმდეგ სასტიკ ბრძო-...ლებში პოლონეთის ჯარის მეომრებმა ...თავი გამოიჩინეს, როგორც თავისი სამ-...შობლოს ნამდვილმა პატრიოტებმა და ...საბჭოთა არმიის მეომრებთან ერთად ...სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ ...თავიანთი სამშობლოს ღირსებისა, თავი-...სუფლებისა და დამოუკიდებლობისათ-...ვის.

...საბჭოთა და პოლონეთის ჯარების ...საბრძოლო მეგობრობა იზრდებოდა და ...მტკიცდებოდა ჰიტლერელი დამპყრობ-...ლების წინააღმდეგ ბრძოლის ცეცხლ-...ში. საბჭოთა არმიის მეომრები დიდი ...სიყვარულით და ღრმა პატივისცემით ...ეპყრობოდნენ პოლონეთის არმიის ...მეომრებს.

...საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ...ამხანაგ სტალინს თავის ბრძანებებში ...მრავალჯერ გამოუცხადებია მადლობა ...მამაცი პოლონელი მეომრებისათვის. ...საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს ...მრავალჯერ მიუცია სალუტი მათთვის. ...ათასობით პოლონელი მეომარი უშიშა-...რობისა, მამაცობისა და გმირობისათვის ...დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ...ორდენებით.

...საბჭოთა ხალხი და საბჭოთა არმიის ...მეომრები დიდად აფასებენ თავიანთ ...თანამებრძოლთა — მამაც პოლონელ ...მეომართა გმირობას, რომლებიც ჰიტ-...ლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ ...იბრძოდნენ.

...დაე საბჭოთა არმიის მეომრებისა და ...პოლონეთის ჯარის მეომრების მიერ ...ერთობლივ ბრძოლაში დაღვრილი სისხ-...ლი იყოს ჩვენი მარადიული მეგობრო-...ბისა და ძმობის სიმბოლო! თქვენი არ-...მია ახალი ტიპის არმიაა, იგი მთლიანად ...ემსახურება თავისი ქვეყნის სახელმწიფო ...ხელისუფლების სახალხო-დემოკრატიულ ...ორგანოებს და ემსახურება სახალხო-დე-...მოკრატიული წყობილებისა და თავისი ...ხალხის შემოქმედებითი შრომის დაცვას ...საქმეს.

პოლონეთის შეიარაღებული ძალები სახელმწიფო ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენია, პოლონეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საიმედო ბურჯია. მისი მეომრები უნდა იზრდებოდნენ თავიანთი სამშობლოსადმი, სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და საბჭოთა კავშირთან ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის მძლავრ არმიასთან ძმურად დაკავშირებული პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული არმია, ეყრდნობა რა საბჭოთა არმიის უმდიდრეს სამხედრო გამოცდილებას, სწავლობს რა თავის საკუთარ გამოცდილებას და ყოველივე ძვირფასს, რასაც სამხედრო ისტორია შეიცავს, დაუღალავად უნდა სრულყოფდეს თავის მხედრულ ოსტატობას. ეს არის მისი საბრძოლო ძლიერების საწინდარი.

დღეს, როცა იმპერიალისტები გაძლიერებით ამზადებენ ახალ ომს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩვენი ხალხების თანამშრომლობას და ძმურ მეგობრობას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა და ულმობლად ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს მის შესუსტებას.

ამხანაგებო!

თქვენი ხალხისა და არმიის წინაშე დასახულია სოციალიზმის მშენებლობისა და ახალი პოლონეთის უშიშროების განმტკიცების დიდი ამოცანები. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ პოლონელი ხალხი საბჭოთა ხალხის ძმური მხარდაჭერით, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და მისი ბელადის პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელებს ამ ამოცანებს.

პოლონელი ხალხის განთავისუფლების დღესასწაულის დღეს ნება მიბოძეთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა სახელით ერთხელ კიდევ ვუსურვო თქვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს და პოლონეთის ჯარის მეომრებს შემდგომი წარმატებანი და ბედნიერი მომავალი.

გაუმარჯოს პოლონელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს პოლონეთის ჯარისა და საბჭოთა არმიის მეომართა საბრძოლო მეგობრობას!

გაუმარჯოს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბოლესლავ ბერუტს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძენ ბელადს—დიდ სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

# აღებულია 184.723 ჰექტარი პურეული

20 ივლისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა 184.723 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღეს (აქედან ივლისის მეოთხე ხუთდღიურში — 40.000 ჰექტარი). გეგმა შესრულებულია 49,2 პროცენტით.

პურეულის აღება დამთავრებულია 14 რაიონში, მათ შორის თელავის, გურჯაანის, გარდაბნის, აბაშის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში.

სიღნაღის რაიონში გეგმა 95,4 პროცენტით არის შესრულებული, კასპის — 92,2, წითელწყაროს — 93,2, ყვარლის — 96, ლაგოდეხის — 99,3, მარნეულის — 80,9, ზესტაფონის — 92,7, ბოლნისის რაიონში — 70,1 პროცენტით.

# ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

ივლისის მეოთხე ხუთდღიურში ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 721,9 ტონა ჩაის ფოთოლი. 20 ივლისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება შესრულებულია 62,6 პროცენტით, ხოლო ივლისის — 58 პროცენტით.

გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით, სალიბაურის — 63, ჩაქვის—50,6, ოჩხამურის — 60,3, ცეცხლაურის — 50,4, ნატანების — 37,5, ლაითურის — 57, ნარუჯის — 72,6, ნასაკირალის — 58,3, წულუკიძის — 57,6, დიდიჯიხაიშის — 58,6, ლესიჭინის — 69,9, ინგირის — 64, ონარიის — 68,3, ნარაზენის — 47,8, ხეცერის — 62,9, წალენჯიხის — 64,3, აჩიგვარის — 46,8, სიდის—90,4, მოქვის — 56,3, ხიბულის საბჭოთა მეურნეობაში — 92,3 პროცენტით.

# ანეულის დამუშავება

საქართველოს კოლმეურნეობებში 20 ივლისისათვის პირველად დამუშავებულია 271.332 ჰექტარი ანეული (გეგმის 99,7 პროცენტი), მეორედ—216.661 ჰექტარი (79,6 პროცენტი).

ანეულის მეორე დამუშავება მთლიანად დამთავრებულია ქარელის, გორის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წითელწყაროს, ყვარლის, ბოლნისის, დმანისის რაიონებში.

დავალება 90-ზე მეტი პროცენტით შეასრულეს მარნეულის, მახარაძის, ახალციხის, ხაშურის, ბორჯომის, დუშეთის, გურჯაანის, თელავის, აბშეტის, ლაგოდეხის, ვანის, მაიაკოვსკის, ონის, ქვემო სვანეთის რაიონებში და აჭარაში.

# მცხეთელი კოლმეურნეები უხვ მოსავალს იღებენ

მცხეთის რაიონის კოლმეურნეებმა წელს სასახელო შრომა გასწიეს. ბეჯითი მუშაობით მათ უხვი მოსავალი მოიყვანეს. ახლა ისინი იბრძვიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებს წელს გაცილებით მეტი ხორბალი ეთესათ, ვიდრე წინათ. აქ ხორბლის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე, წინა წლებთან შედარებით, თითქმის სამჯერ გადიდდა.

პურეულის უხვ მოსავალს, რომელსაც ამ რაიონის მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა ჯერ კიდევ გასულ წელს ჩაუყარეს საფუძველი, იმის შედეგად მიაღწიეს, რომ მცხეთის კოლმეურნეობებში ფართოდ დაინერგა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია, ხორბლის ნათესში დიდი რაოდენობით შეიტანეს მინერალური სასუქი, ნათესებს არ აკლებდნენ მოვლას.

მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ აღებისა და სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სოფელ წილკნის ბერიას სახელობის, წეროვნის კიროვის სახელობის, მუხრანის სტალინისა და მუხრანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები.

წილკნის ბერიას სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. გძელიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. მაისურაძე) ერთ-ერთი დიდი და მოწინავე კოლმეურნეობაა მცხეთის რაიონში. კოლმეურნეობას წელს ხორბალი 650 ჰექტარზე უთესია. წილკნელმა კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად იკისრეს წელს პურეულის სანიმუშო მოსავალი მიეღოთ. ეს დაპირება მათ პირნათლად შეასრულეს. განსაკუთრებით ისახელეს თავი მემინდვრეობის მეხუთე და მეორე ბრიგადებმა (ბრიგადირები შალვა მგლიშვილი და ვასო დიდებაშვილი). შ. მგლიშვილის ბრიგადა აგროწესების ზუსტად დაცვითა და ნათესების სანიმუშოდ მოვლით 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19 ცენტნერს, ხოლო ცალკე ნაკვეთის—10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერ ხორბალს იღებს. ვასო დიდებაშვილის ბრიგადის ერთ-ერთ ნაკვეთზე — 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს. საშუალოდ აქ ჰექტარზე 18 ცენტნერ საუკეთესო ხარისხის ხორბალს იღებენ. მათ 400-მდე ჰექტარზე უკვე აიღეს მოსავალი.

— მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა კარგად ესმის ჩვენი კოლმეურნეობის თვითეულ წევრს. ამიტომაა, რომ მათ ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის ორგანიზებულად აღებისათვის, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. გძელიძემ.

ამ კოლმეურნეობის ნაკვეთში 2 კომბაინი მუშაობს. კოლმეურნეები ყოველგვარ ზომებს იღებენ, რომ კომბაინებმა შეუფერხებლად იმუშაონ. თვითეულ კომბაინს 8 კოლმეურნე უწევს მომსახურებას. ბუნკერიდან მარცვლის გადმოტვირთვას, წყლისა და საწვავის ჩასხმას კომბაინის მუშაობის პროცესში აწყობენ.

წეროვნელი კომბაინერი ნიკოლოზ სოხაშვილი, რომელიც ამ კოლმეურნეობის ნაკვეთში მუშაობს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა საშუალოდ დღეში 13 ჰექტარზე იღებს მოსავალს. — ნიკოლოზ სოხაშვილი თავისი კომბაინით ისე კარგად იღებს მოსავალს, რომ საჭიროც არ იყო ფეხდაფეხ მივყოლოდით მის კომბაინს და დანაკარგები გვეძებნა, — განაცხადეს კოლმეურნეებმა 20 ივლისს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ.

კოლმეურნეები გულმოდგინედ მუშაობენ იმისათვის, რომ ვადამდე, გეგმის გადამეტებით და საუკეთესო ხარისხის პური ჩააბარონ სახელმწიფოს. მათ უკვე 180 ტონა ხორბალი ჩააბარეს „ზაგოტზერნოს" მცხეთის პუნქტში. აქ ვარაუდობენ, რომ წელს პურის დამზადების გეგმის შესრულების, სათესლე მასალისა და სხვა ფონდების გამოყოფის შემდეგ შრომადღეზე 12 კილოგრამ მარცვალს მიიღებენ.

მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში კოლმეურნეობაში არ ავიწყდებათ სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც. მოსავლის აღებასთან ერთად საუკეთესოდ უვლიან ბოსტნებსა და ვენახებს, მზრუნველობას არ აკლებენ საკოლმეურნეო ფერმებს.

მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის [illegible] ნიხილა კოლმეურნეთა მორის საგიტაციო მუშაობის დაყენების საკითხი. კრებებზე დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა შესრულებას ყოველდღიურად ამოწმებენ. მოხერხებულად გაანაწილეს აგიტატორთა კადრები. მოეწყო აგიტატორთა საჩვენებელი საუბრები, გაუმჯობესდა აგიტკოლექტივის საქმიანობა. სისტემატურად ისმენენ აგიტატორები ინფორმაციებს საგიტაციო მუშაობის საკითხებზე, აშარაგებენ მათ ლიტერატურით, პრაქტიკულად ეხმარებიან.

მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში წილკნელებს არ ჩამორჩებიან წეროვნელი კოლმეურნეები. წეროვნის კიროვის სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობას 471 ჰექტარზე უთესია ხორბალი. 21 ივლისისათვის მოსავალი აღებული ჰქონდათ 350 ჰექტარზე. ჰექტარზე აქ საშუალოდ 17-18 ცენტნერ ხორბალს იღებენ. 21 ივლისისათვის კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის 180 ტონა ხორბალი ჰქონდა ჩაბარებული, რაც გეგმის 85 პროცენტს აღემატება.

კომბაინერები ივანე დავითაშვილი და ალექსი სოხაშვილი ერთმანეთს ეჯიბრებიან. დავითაშვილი ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 11 ჰექტარის ნაცვლად 17 ჰექტარზე იღებს მოსავალს, ხოლო სოხაშვილი 8 ჰექტარის ნაცვლად 14 ჰექტარზე. ამ კომბაინერებს თვითეულს 200-მდე ჰექტარზე აქვთ აღებული მოსავალი. კოლმეურნეები სანიმუშოდ ემსახურებიან კომბაინებს.

განსაკუთრებით კარგადაა მოწყობილი დანაკარგებთან ბრძოლა. კოლმეურნე ქალები ნინო მუხათგვერდელი, მარო ხუბაშვილი და სოფიო ჭავჭავაძე ყოველდღიურად ათობით კილოგრამ ხორბალს ჰმატებენ კოლმეურნეობას.

აღსანიშნავია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კოლმეურნე ოლღა ნონიაშვილის ენერგიული მუშაობა. იგი პირად მაგალითს აძლევს კოლმეურნეებს მოსავლის აღების საქმეში, ამასთან ნაყოფიერ საგიტაციო მუშაობას ეწევა.

მცხეთელ კოლმეურნეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში.

**ქ. სიხარულიძე**
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

# კომბაინი ჭერემის კოლმეურნეობაში

**გურჯაანი.** (საკ. კორ.). ჭერემი რაიონის ცენტრიდან ყველაზე დაშორებული სოფელია. ამ სოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. ჯაჭვაძე) 380 ჰექტარი ხორბალი უთესია. წინათ აქ ხორბლის დაბალ მოსავალს იღებდნენ. წელს აგროწესებათა ზუსტად განხორციელებით მოსავლიანობა ერთიანად გაადიდეს.

19 ივლისს ჭერემის კოლმეურნეობაში გურჯაანის მტს-ის თვითმავალი კომბაინი მივიდა. კომბაინერმა უტიაშვილმა პირველ დღეს 10 ჰექტარი მომკა, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი ხორბალი აიღო.

# პოეტის შემოქმედებითი განვითარების გზა*

სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებთა კრებულში, რომელიც ეხლახან გამოქვეყნდა, მოთავსებულია 1925-1950 წლებში დაწერილი რჩეული ლექსები და პოემები. წიგნში თვითეული ლექსი დათარიღებულია და ამგვარად მკითხველს საშუალება ეძლევა სრულად წარმოიდგინოს ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედებითი განვითარების გზა.

კრებულის წინასიტყვაობაში ს. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ მის მიერ გათვალისწინებულ იქნა საბჭოთა პრესაში სხვადასხვა დროს გამოთქმული შენიშვნები და ამიტომ მრავალი ლექსი სრულიად ახალი რედაქციით იბეჭდება. ამასთანავე, ს. ჩიქოვანს ამ კრებულში არ შეუტანია ერთი ნაწილი იმ ლექსებისა, რომლებიც უმთავრესად ადრე იყო დაწერილი და თვითონ პოეტს ამჟამად გაუმართლებლად მიაჩნია. ცხადია, ს. ჩიქოვანი ამ შემთხვევაში მართებულად მოიქცა.

ს. ჩიქოვანმა პოეტური მოღვაწეობა დაიწყო რევოლუციის შემდეგ. იგი, როგორც შემოქმედი, მომწიფდა საბჭოთა სინამდვილეში. მისი ლექსები გამსჭვალულია თანამედროვეობის გრძნობით, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით. ამ ლექსებში ასახულია ჩვენი ქვეყნის ზრდისა და აღმავლობის შთამბეჭდავი სურათები, საბჭოთა ადამიანის გმირული შრომის პათოსი, მისი თავდადებული ბრძოლა კომუნიზმის მშენებლობისათვის. ახალი ადამიანის აზრები და განცდები ს. ჩიქოვანის ლექსებში გადმოცემულია გულწრფელობით, სიმართლით და მხატვრული დამაჯერებლობით. მაგრამ საბჭოთა პოეზიის ეს თვისებები არ ახასიათებდა ს. ჩიქოვანის ადრინდელ შემოქმედებითს მუშაობას, როდესაც იგი ხარკს უხდიდა ფუტურიზმს.

ს. ჩიქოვანმა ადრე შეიგნო, რომ ფუტურიზმის გზა ყალბი და ანტისახალხოა. მან შესძლო ფუტურისტულ-ფორმალისტური პოეზიის ტყვეობისაგან გათავისუფლება და რეალისტური პოეზიის პოზიციებზე დადგა. შემდეგ მისი პოეტური ზრდა და დავაჟკაცება სოციალისტური სინამდვილის მოვლენებთან შემოქმედებითი დაკავშირების გზით წარიმართა. სწორედ ამ გზით მიაღწია მან მნიშვნელოვან პოეტურ წარმატებებს. უკვე ოცდაათიანი წლების დამლევისათვის ს. ჩიქოვანი ავტორი იყო საგულისხმო ლექსებისა, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა სინამდვილის ცალკეულ მოვლენებს.

მომდევნო პერიოდი მისთვის იყო შეუნელებელი შემოქმედებითი მუშაობისა და იდეური ზრდის ხანა. ამ დროს ს. ჩიქოვანი უკვე მხატვრული მგზნებარებით წარმოგვიდგენს საბჭოთა ხალხის თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას. მისი პოეტური სახეები განათებულია სოციალისტური სინამდვილის შინაარსით:

> საშური ვარ, მეჩვენება სხლავენ ვაზებს,
> ყანას მკიან და ველს რთავენ მზის ფერებით.
> სამშობლოში შრომამ შექმნა სილამაზე,
> შემკობილი ღირსებით და ძლიერებით.

საბჭოთა პატრიოტიზმს უჭირავს ერთ-ერთი მთავარი ადგილი ჩვენს ლიტერატურაში. არ არსებობს საბჭოთა მწერლობისათვის უფრო სასახელო და საამაყო თემა, ვიდრე გამოხატვა სიყვარულისა ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი. სოციალისტური წყობილების პირობებში საბჭოთა პატრიოტიზმი გახდა ხალხის ცხოვრების კანონი. თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში სრულ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა პატრიოტიზმის, როგორც ახალი, უმაღლესი პატრიოტიზმის თვისებები.

საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული წარმოადგენს ს. ჩიქოვანის შემოქმედების საფუძველს. მართლაც, რა მოვლენასაც არ უნდა ეხებოდეს პოეტი, იგი ყოველთვის სამშობლოს ღრმა სიყვარულის გრძნობიდან გამოდის. ეს განცდა აძლევს პათოსს მის ლექსებს. სამშობლოს განთიადის შეგნებით არის გამსჭვალული ს. ჩიქოვანის მთელი პოეტური სამყარო. პოეტის პატრიოტიზმი, როგორც ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტიზმი, შორს არის ვიწრო-ნაციონალისტური თვალსაზრისისაგან. მისი პატრიოტიზმი ემყარება სოციალისტურ ჰუმანიზმსა და ხალხთა სტალინურ მეგობრობას. ამ ამაღლებულ იდეას გამოხატავს პოეტი ლექსში — „მოსკოველი მეგობრებისადმი". ეს ლექსი მიმართულია დიდი რუსი ხალხისადმი, რომელმაც სამამულო ომში ისტორიაში არნახული გმირობა გამოიჩინა და მთელი მსოფლიო გადაარჩინა ფაშიზმის საშინელებისაგან. პოეტს სწამს ხალხთა სტალინური ძმობის სიმტკიცე და უძლეველობა. ამიტომ ამბობს იგი ასეთი დაჯერებით: „ჩვენ შეგვაერთა სტალინის გულმა და განუყრელად დავრჩებით ძმები".

სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი ხასიათისა და შეგნების მაღალი თვისებები გამოამჟღავნეს, რაც გახდა ჩვენი ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების საწინდარი. საბჭოთა ადამიანებმა უმაგალითო გმირობის ფურცლები ჩასწერეს ისტორიაში. ჩვენი ადამიანების სახელოვანი ბრძოლების კონკრეტული სურათები მრავლად არის ასახული ს. ჩიქოვანის ისეთ ლექსებში, როგორიცაა — „მე ვიყავ შენი ვაჟი გულადი", „ლეშკაშელის სიკვდილი", „საბჭოთა კავშირის გმირს ვლ. კანკავას", „ყუბანის ველზე", „დაჭრილი მეომრის ნათქვამი", „გმირულად დაღუპულ მფრინავ გასტელლს". ამ ლექსებში პოეტი გვიხვენებს სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულით აღფრთოვანებულ გმირებს, რომლებიც უშიშრად მიდიოდნენ ბრძოლის ველზე, არ უდრკებოდნენ არავითარ განსაცდელს და სიცოცხლესაც სწირავდნენ მშობელი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა პატრიოტიზმით შთაგონებული სიმღერები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელის — დიდი სტალინისადმი. ყოველივე საუკეთესო, რაც კი იბადება ხალხის შეგნებაში, მიძღვნილია მშობლიური ბელადისადმი, რომლის სახელიც წარმოადგენს კომუნიზმის მშენებლობის, ხალხთა მშვიდობის დროშას. მოხდენილ პოეტურ სახეებში აქანდაკებს ს. ჩიქოვანი ამხანაგ სტალინის დიად პორტრეტს. სასიმღეროთ გადაქცეულ ლექსში იგი ასე მიმართავს ბელადს:

> მყინვარს შვენის სხივთა ბადე,
> შვარდენიც მზს არ მონებს,
> მაგრამ მათი სიდიადე
> შენს სახეს ვერ მოგვაგონებს.
> თერგი მირბის, კლდეებს კაფავს,
> ტალღას ამსხვრევს, ხარჯავს ღონეს,
> მაგრამ თერგის ვეფხვის სწრაფვა
> შენს ძალას ვერ მოგვაგონებს.
> მაშ ამღერდი მთა და ველო,
> მზეს სხივები დაიცხუნე,
> სტალინ, სტალინ, საყვარელო,
> შენ მოგძახის საუკუნე.

ამ სიტყვებს დღეს საქართველოს ყველა კუთხეში იმეორებენ, როგორც დიდი ბელადისადმი განუსაზღვრელი სიყვარულის გამოხატულებას.

ბელადის მშობლიურ ქალაქს ეხება ლექსი „გორის ციხე". ამ ნაწარმოებში ს. ჩიქოვანი გვიხატავს ქართლის ისტორიულ ბედს, მის წარსულს და დღევანდლობას. იგი ულრმესი სიყვარულის გრძნობით უმღერის იმ ადგილს, სადაც დაიბადა დიდი ბელადი, სადაც ლაიაწია დიდი ბელადის აკვანი და სადაც გაატარა მან ბავშვობის წლები. ლექსში „ქართლის სალამოები" მღელვარებით არის გადმოცემული ბელადის აზრთა სიდიადე, მისი კავშირი ხალხის გულთან. პოეტი თავისებურ მეტაფორულ თქმაში გამოხატავს ბელადის პატარა სახლისადმი სამშობლო-ქვეყნის დამოკიდებულებას:

> ვენახია საქართველო მთელი
> და შენს ბუდეს ის ვაზივით მოხვევია.

ს. ჩიქოვანის იმ ლექსებშიც კი, რომლებიც თემატიკურად სხვა ციკლს ეკუთვნიან, ხშირად გვხვდება ბელადის სიყვარულით შთაგონებული სტრიქონები. ეს უძვირფასესი თემა მის ლექსებში ყოველთვის ძლიერი ფერებით არის დახატული.

სოციალისტური ქვეყნის ცხოვრების მრავალი დამახასიათებელი მოვლენა კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში. სტალინური ხუთწლედები, საკოლმეურნეო სოფელი და მისი მოწინავე ადამიანები, ინდუსტრიული ქალაქები, საბჭოთა ახალგაზრდობა, განახლებული კოლხიდა, ხალხის შრომით გარდაქმნილი ბუნება, — პოეტის მიერ ასახულია ლამაზ მხატვრულ სახეებში.

ლექსებში — „ატენის ხეობაში თქმული სიმღერა ბელადზე", „გზაზე", „რთველში", „სოციალისტური შრომის გმირი მარგალიტა კამა", „მეფუტკრე" — ნაჩვენებია თუ როგორ თავდადებით იღწვიან საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ს. ჩიქოვანი არ ერიდება ლექსებში თავისი პირადი ცხოვრების ცალკე მომენტების გამოხატვას. ამ ციკლის ნაწარმოებებში („ეზოდან გაველ სამშობლოს გზაზე" და „ლირიული რვეული") პოეტი წარმოგვისახავს თუ რა აზრებით და განწყობილებებით შემოდიოდა იგი ცხოვრებაში. ალაგ-ალაგ ამ ლექსებს დაჰკრავს ერთგვარი მელანქოლია და ზოგჯერ პესიმისტური განწყობილებაც, რაც საბჭოთა პოეზიისათვის უცხოა და პოეტმა თავის შემდგომ შემოქმედებაში უნდა დაძლიოს.

თავის ლექსებში ს. ჩიქოვანი დიდ ადგილს უთმობს ქართველი ხალხის სახელოვან წარსულს. მისთვის წარსულს აქვს მნიშვნელობა თანადროულობასთან ურთიერთობაში. იგი ეძებს წარსულის უწყვეტ კავშირს არსებულთან, დღევანდელთან. პოეტს კარგად აქვს შეგნებული, რომ კრიტიკულად ათვისებული ჯანსაღი ტრადიცია გარკვეულ როლს ასრულებს ჩვენს წინსვლასა და გამარჯვებაში.

ს. ჩიქოვანის პოეზიის ამ თვისებამ თავი იჩინა მის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებში — „სიმღერა დავით გურამიშვილზე". ეს ნაწარმოები არ არის პოემა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ უფრო ციკლია დამოუკიდებელი ლირიკულ-ეპიკური ლექსებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო იდეურ-თემატიკური ხაზით.

აქ ს. ჩიქოვანი დ. გურამიშვილის თავგადასავალს იყენებს იმისათვის, რომ წინ წამოსწიოს ისტორიული თემა და მხატვრულად გადაგვიშალოს საქართველოსაგან მოწყვეტილი პოეტის დამოკიდებულება მშობელი ქვეყნისადმი. ამავე დროს ს. ჩიქოვანისათვის დავით გურამიშვილი არის სიმბოლო ქართველი და რუსი ხალხის, ქართველი და უკრაინელი ხალხის ისტორიული მეგობრობისა. სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი ძმასავით მიიღეს, შეიყვარეს რუსებმა და უკრაინელებმა. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას აქვს არა მარტო თავისი დიდებული აწმყო, არამედ ისტორიული წარსულიც. ამ პერსპექტივაშია განვითარებული ს. ჩიქოვანის ნაწარმოების გმირის ცხოვრება.

როგორც ცნობილია, ს. ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებს ახასიათებდა ფორმალისტური, ბუნდოვანი, ძნელად ამოსაცნობი სახეები. რეციდივები წარსულისა დროდადრო მჟღავნდებოდნენ უკანასკნელი დროის ლექსებშიაც, რაც სამართლიანად იქნა მხილებული საბჭოთა პრესაში.

თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგი კ. ჩარკვიანი აღნიშნავდა: „გამოგონილი სიტყვები, გამოთქმები და გაუგებარი სახეები გვხვდება ნიჭიერი პოეტის, პარტიის წევრის ამხ. ს. ჩიქოვანის ლექსებსა და პოემებშიც". ამის საილუსტრაციოდ ამხ. კ. ჩარკვიანმა მაგალითიც მოიყვანა ს. ჩიქოვანის ლექსიდან. ამ მითითებიდან პოეტმა სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს. მართლაც, ს. ჩიქოვანის ზოგიერთი ლექსი ამ მხრივ იმსახურებს სერიოზულ კრიტიკას. მის ნაწარმოებთა ახალ კრებულშიც გვხვდება აზრობრივად გაუმართავი წინადადებები, გაუგებარი, არაკონკრეტული სახეები, მიდრეკილება არქაული სიტყვებისა და დიალექტისადმი. ზოგჯერ მას უსუსტდება ქართული სიტყვის პოეტური ჟღერისა და პლასტიკურობის გრძნობა. ამიტომ არის, რომ ამ ხასიათის ლექსებს აკლია ჰარმონიულობა და მელოდიურობა.

კრებულში მოთავსებულ ზოგიერთ ნაწარმოებში არ არის ნათლად წარმოდგენილი პოეტური მონაფიქრი. ლექსში—„თხრილში" საუბარია მტრის მიერ გამოსროლილი ნაღმის შესახებ, რომელმაც „ბუჩქები დამანვა".

> დაეცა, მტვერი მოდენა,
> ბევრგან დავარდა მაშხალა.
> და ფიქრი ფრჩხილის ოდენა
> ორზის ფრთასავით გაშალა.

ამ სტრიქონებიდან ძნელი გასაგები ხდება, თუ „ფრჩხილის ოდენა" (!) ფიქრი ვინ გაშალა: ნაღმმა (მაშხალამ) თუ მებრძოლმა.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ს. ჩიქოვანის შემოქმედებას სამართლიანად უჭირავს თვალსაჩინო ადგილი თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ამიტომაც უეჭველად შემცდარად უნდა ჩაითვალოს „კომუნისტის" ა. წ. 6 მარტის ნომერში მოთავსებული სტატია, რომელშიაც გაზვიადებულადაა წარმოდგენილი სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებთა ნაკლოვანებები და სრულიად არაფერია ნათქვამი იმ ღირსებებზე, რაც ქართული საბჭოთა პოეზიის ამ ერთ-ერთი მოწინავე, ნიჭიერი წარმომადგენლის შემოქმედებას ახასიათებს.

* სიმონ ჩიქოვანი — „ლექსები და პოემები", [illegible], 1950 წ.

# პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავის დღესასწაული

### საზეიმო სხდომა ვარშავაში

**ვარშავა,** 21 ივლისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში პოლონეთის თეატრში გაიმართა პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას დაესწრნენ თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელნი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მშრომელთა, არმიის წარმომადგენლნი და სხვები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბოლესლავ ბერუტს, პრემიერ-მინისტრს იუზეფ ცირანკევიჩს, სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის წევრებს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციას, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. მოლოტოვი მეთაურობს.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ხელმძღვანელებს და ამ ქვეყნების მთავრობათა დელეგაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ი. ცირანკევიჩმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა პოლონეთის პრეზიდენტს ბოლესლავ ბერუტს. თავის მოხსენებაში ბერუტმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი პოლონეთის განთავისუფლებასა და აღდგენაში.

— სსრ კავშირის მაგალითსა და დახმარებაზე დაყრდნობით, — განაცხადა ბოლესლავ ბერუტმა, — პოლონეთი ძლევამოსილად გამოვიდა სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

ბერუტმა აღნიშნა პოლონელი ხალხის დიდი წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ხაზი გაუსვა იმას, რომ მიღწეული წარმატებანი შემდგომი აყვავების ახალ უფართოეს პერსპექტივებს უსახავენ პოლონეთს.

„პოლონეთი, — თქვა ბოლესლავ ბერუტმა, — მძლავრი და მონოლითური სახელმწიფო გახდა".

თავის მოხსენებაში ბერუტმა აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის განვითარებაში პოლონელი და საბჭოთა ხალხების ურღვევ და მარადიულ მეგობრობას, რამაც განმტკიცება ჰპოვა მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს დიდი სტალინი.

დახასიათა რა მშვიდობისათვის ბრძოლის მოძრაობის წარმატებანი, ბერუტმა განაცხადა, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივი გეგმები, რომელთა მიზანია ახალი ომის გაჩაღება, მარცხდება.

პოლონეთი, თქვა ბერუტმა, მნიშვნელოვანი რგოლია მშვიდობის მძლავრ ბანაკში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს.

როგორც საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისთვის, ისე ჩვენთვისაც მშვიდობისათვის ბრძოლა მთავარი ამოცანაა. ჩვენ გვახსოვს ამხანაგ სტალინის სიტყვები: „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას".

მიმართა რა ვ. მ. მოლოტოვს, ბერუტმა სთხოვა მას გადასცეს საბჭოთა ხალხსა და დიდ სტალინს, რომ პოლონელი ხალხი გამოთქვამს დიდ ერთგულებას, სიყვარულსა და პატივისცემას მათდამი, მადლობას პოლონეთის განთავისუფლებისათვის, ყოველმხრივი და უანგარო დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა ხალხი უწევს დემოკრატიულ პოლონეთს.

პოლონელ ხალხს, თქვა ბ. ბერუტმა, საბჭოთა კავშირი მიაჩნია მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის ბურჯად. მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით პოლონელი ხალხი არ დაიშურებს თავის ძალღონეს.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ამ სიტყვებს შეხვდნენ მქუხარე ოვაციებით და შეძახილებით: „მშვიდობა — მშვიდობა!", „სტალინი — მშვიდობა!".

თავისი მოხსენების დასასრულს ბოლესლავ ბერუტმა დღეგრძელობა უსურვა პოლონელი ხალხის საუკეთესო მეგობარს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს დიდ სტალინს.

საზეიმო სხდომის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლას. სხდომის დარბაზში იმართება მქუხარე ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად. გაისმის შეძახილები: „სტალინი—სტალინი!".

ვ. მ. მოლოტოვს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით და შეძახილებით საბჭოთა კავშირის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ), მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონინ გრეგორი, რუმინეთის სახელმწიფო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე პეტრე ბორილა, ალბანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მეჰმეტ შეხუ, უნგრეთის თავდაცვის ვიცე-მინისტრი იშტვან საბო და მონღოლეთის დელეგაციის წარმომადგენელი ცედიბი.

# ალბანეთში გაიხსნა ი. ბ. სტალინის მონუმენტი

**ტირანა,** 22 ივლისი. (საკდესი). დღეს ქალაქ სტალინში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მონუმენტი.

ტრიბუნაზე ყვავილებით შემკული მონუმენტის წინ თავი მოიყარეს ალბანეთის შრომის პარტიის პოლიტბიუროს წევრებმა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ენვერ ხოჯას მეთაურობით, მთავრობის წევრებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აგრეთვე სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა.

მონუმენტის გახსნის გამო გამართულ მიტინგში მონაწილეობა მიიღო ქალაქის მთელმა მოსახლეობამ. მიტინგის მონაწილეებმა თან მოიტანეს ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილი იყო ლოზუნგები: „გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირსა და ბოლშევიკების პარტიას, რომლებსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობს", „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში", „გაუმარჯოს ერთგულ სტალინელს ენვერ ხოჯას".

მიტინგი გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა აკი ტასკაჩმა. მიტინგზე გამოვიდნენ ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სპირო კოლეკა, სსრ კავშირის დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი.

ჩუვახინის სიტყვებს „გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის დიდ ბელადს, ალბანელი ხალხის საუკეთესო და გულწრფელ მეგობარს ძვირფას ი. ბ. სტალინს" დამსწრენი შეხვდნენ მქუხარე ოვაციით და შეძახილებით: სტალინ, სტალინ, სტალინ!

მიტინგი დამთავრდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ეროვნული ჰიმნების შესრულებით.

# კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს ცნობა

**ფხენიანი,** 21 ივლისი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა საკუთარი კორესპონდენტის ცნობა 5 ფრონტიდან. ცნობაში ნათქვამია, რომ დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყების შემდეგ გენერლები რიჯუეი და ვან ფლიტი სხვადასხვა დროს იყვნენ უშუალოდ ფრონტზე ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების განლაგებაში. ყველგან, სადაც ისინი მივიდნენ, ინტერვენციონისტთა ჯარებმა მთელი რიგი ძლიერი იერიშები მოაწყეს. 11, 12 და 13 ივლისს ამერიკელთა 24-ე დივიზიის ნაწილებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს ხვაჩხონის რაიონში. იგივე მოხდა იონჩხონის, ჩხოლვონის რაიონებში და კიმხვის დასავლეთით. ინტერვენციონისტთა ჯარების იერიშები ყველგან მოიგერიეს კორეის სახალხო არმიის ნაწილებმა ჩინელ მოხალისეებთან თანამოქმედებით. მტერმა დიდი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა 5 ფრონტის სარდლობა აღნიშნავს, რომ ინტერვენციონისტთა ჯარების ამ იერიშებს პროვოკაციული ხასიათი აქვს. სახალხო არმიის მეომრები და ჩინელი მოხალისეები აცხადებენ, რომ, თუ, მიუხედავად კორეელი, ჩინელი ხალხებისა და მსოფლიოს სხვა ხალხთა სამშვიდობო მისწრაფებისა, ინტერვენტები ჩაფუშავენ მოლაპარაკებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ და შეტევაზე გადმოვლენ, ეს შეტევა კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა დარტყმების შედეგად მალე გადაიქცევა ინტერვენციონისტთა ჯარების უკანდახევად და საბოლოო განადგურებად.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 21 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 21 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და მნიშვნელოვან ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილებმა დასავლეთ სანაპიროს რაიონში ჩაძირეს მტრის ერთი ხომალდი, რომელიც ცდილობდა დაზვერვა მოეხდინა.

21 ივლისს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელთა რაზმებმა მტრის ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

**ფხენიანი,** 22 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და დიდ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა მტრის ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

# კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გამო

**პეკინი,** 21 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის მიერ კორეის ფრონტის შტაბიდან მიღებული ცნობებით, კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მე-8 სხდომა დაიწყო 21 ივლისს 9 საათზე და დამთავრდა 10 საათსა და 35 წუთზე კორეის დროით.

კორეის სახალხო არმიისა და ჩინეთის სახალხო მოხალისეთა დელეგაცია მოლაპარაკების პირველი დღიდანვე მუდამ მოითხოვდა, რომ მოლაპარაკების მონაწილეთა სხდომებზე განხილულიყო მთავარი საკითხები, სახელდობრ: სამხედრო სადემარკაციო ხაზის დაწესება ორ მხარეს შორის 38-ე პარალელზე, უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანა კორეიდან და ცეცხლის შეწყვეტისა და დროებითი ზავის დადების პრაქტიკული ღონისძიებანი.

თუმცა 7 წინა სხდომის მსვლელობაში ორივე მხარემ ნაწილობრივ შეთანხმებას მიაღწია დღის წესრიგზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაცია მტკიცე უარს აცხადებდა შეეტანათ დღის წესრიგში საკითხი კორეიდან უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანის შესახებ, რაც ნიშნავს უარის თქმას ამ საკითხის განხილვაზე მოლაპარაკების პროცესში.

ითვალისწინებდა რა იმ ფაქტს, რომ კორეიდან უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გარანტიისათვის, რომ ომი კორეაში ხელახლა არ დაიწყოს, კორეის სახალხო არმიისა და ჩინეთის სახალხო მოხალისეთა დელეგაციამ მოითხოვა მე-8 სხდომაზე, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციამ კვლავ უარი თქვა ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანაზე, გადაედოთ მოლაპარაკება სამი დღით, იმ ანგარიშით, რომ ორივე მხარეს საკმაო დრო მისცემოდა ამ საკითხის გულდასმით განხილვისათვის.

ორივე მხარეს შორის შეთანხმებით გადაწყდა, რომ მე-9 სხდომა გაიმართება 25 ივლისს დილის 10 საათზე.

# მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს განცხადება

**ჰელსინკი,** 21 ივლისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ, რომლის სხდომები ამჟამად მიმდინარეობს ჰელსინკში, დღეს გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია:

„ხსნის რა თავის მორიგ სხდომას, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო მიესალმება კორეის საკითხის გადაჭრაში მოლაპარაკების პრინციპის პირველ გამარჯვებას ძალის პრინციპზე.

მშვიდობისადმი ხალხთა მისწრაფებას მოჰყვა ამ კონტაქტის დამყარება; საჭიროა შეუპოვრად ვიბრძოლოთ და ფხიზელი ვიყოთ, რათა მივაღწიოთ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას და საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

ამ გზით შეიძლება ბოლო მოეღოს კორეელი ხალხის ტანჯვას, რომელსაც ესოდენ ძვირად დაუჯდება სიცოცხლის უფლება. სხვა შეშფოთებული ხალხები დაინახავენ, რომ შეიძლება მშვიდობიანი გზით გადაიჭრას კონფლიქტები, რომლებიც მსოფლიოს ღრღნიან".

# სინხუას სააგენტო იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების ამერიკული პროექტის შესახებ

**პეკინი,** 21 ივლისი. (საკდესი). გუშინ ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სინხუას სააგენტოს სტატია იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საქმეში დასავლეთის სახელმწიფოების სეპარატული მოქმედების შესახებ.

სტატიაში ნათქვამია, რომ „მას შემდეგ, რაც ამერიკის მთავრობამ მიიღო ცალმხრივი გადაწყვეტილება სექტემბრის დამდეგს სან-ფრანცისკოში ეგრეთწოდებული „კონფერენციის" მოწვევის შესახებ იაპონიასთან სეპარატული საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით, ვაშინგტონსა და ლონდონში 12 ივლისს ერთსა და იმავე დროს გამოქვეყნდა იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების ეგრეთწოდებული „გადასინჯული პროექტი", რომელიც ცალმხრივად შეიმუშავეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

თუმცა ეს ეგრეთწოდებული „გადასინჯული პროექტი" ფორმით განსხვავდება ამერიკელთა თავდაპირველი პროექტისაგან, რომელიც მარტის დამდეგს გამოქვეყნდა (იგი შედგება 7 თავისა და 27 მუხლისაგან, მაშინ როცა თავდაპირველი პროექტი შედგებოდა 8 თავისა და 22 მუხლისაგან), მაგრამ მათ შორის არავითარი ძირითადი განსხვავება არ არის არც შინაარსის, არც არსის, არც თვით მუხლების ფორმულირების მხრივ.

ეს „გადასინჯული პროექტიც" ეწინააღმდეგება საერთაშორისო შეთანხმებებს იაპონიის საკითხზე, არღვევს ჩინეთის, საბჭოთა კავშირისა და იმ სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და ინტერესებს, რომლებიც ომს აწარმოებდნენ იაპონიის წინააღმდეგ, და მიზნად ისახავს გადააქციოს იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიად და სამხედრო ბაზად შორეულ აღმოსავლეთში აგრესიისათვის.

იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების პროცედურა, რომელიც ჩამოყალიბებულია „გადასინჯულ პროექტში" და დამყარებულია ამერიკის შეერთებული შტატების მაქინაციებზე, არ განსხვავდება იმ პროცედურისაგან, რომელსაც ამერიკის თავდაპირველი პროექტი შეიცავდა, ესე იგი ჩინეთი და საბჭოთა კავშირი ჩამოშორებული არიან მოლაპარაკებაში მონაწილეობას. უფრო მეტიც: ისინი მტრულ სახელმწიფოებადაც კი არიან მიჩნეული. პროექტის ძველსა და ახალ ვარიანტებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ახალი პროექტი კიდევ უფრო აშკარად თელავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წმინდა უფლებას — მონაწილეობა მიიღოს იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებასა და ხელმოწერაში, თუმცა ჩინელი ხალხი ყველაზე უფრო დიდხანს უწევდა შეიარაღებულ წინააღმდეგობას იაპონელ დამპყრობლებს და ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ამ ბრძოლაში.

„გადასინჯული პროექტის" 23-ე მუხლის „A" პუნქტში განზრახ არის ხაზგასმით აღნიშნული, რომ ჩინეთი გამორიცხულია იმ სახელმწიფოთა სიიდან, რომლებსაც უფლება აქვთ მოამზადონ და დაამტკიცონ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულება.

ლონდონის თათბირზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უკვე თვითნებურად გადაწყვიტეს, რომ დამარცხებული იაპონია, რომელმაც უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა, „თვითონ აირჩევს", ვისთან დადოს საზავო ხელშეკრულება — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თუ გომინდანელთა ხროვის ნაშთებთან. ამრიგად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა განიზრახეს უხეშად ჩამოაშორონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერაში მონაწილეობას.

შემდეგ „გადასინჯულ პროექტში" აღნიშნულია, რომ ამ სეპარატული ხელშეკრულების ძალაში შესვლის სამი წლის შემდეგ იაპონიას შეუძლია გააუქმოს ზავის დადების „ვალდებულება" ყოველ სახელმწიფოსთან, რომელიც უარს ამბობს ხელი მოაწეროს მასთან სეპარატულ საზავო ხელშეკრულებას.

რაც შეეხება ტერიტორიულ საკითხს, ხელშეკრულების „გადასინჯული პროექტი" ისევე როგორც თავდაპირველი ვარიანტი, მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ დაჟინებით მოითხოვენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას წაართვან მისი წმიდა სუვერენული უფლებანი ტაივანისა და პესკადორის კუნძულების მიმართ.

თუმცა „გადასინჯული პროექტის" მე-2 მუხლის „B" პუნქტში ნათქვამია, რომ იაპონია ხელს იღებს თავის ყველა უფლებასა და პრეტენზიაზე კუნძულ ტაივანისა და პესკადორის კუნძულების მიმართ, მაგრამ ამ პროექტში წინანდებურად ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ ტაივანი და პესკადორის კუნძულები ჩინეთს უბრუნდება, როგორც ეს დათქმული იყო კაიროს დეკლარაციით. ეს ერთხელ კიდევ ამხილებს ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას — განაგრძოს ჩინეთის ტერიტორიის შეიარაღებული ოკუპაცია.

გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა ვითომდა მეურვეობის სახით მოახდინეს კუნძულების რიუკიუს, ბონინის ოკუპაცია და საზავო ხელშეკრულების „გადასინჯულ პროექტში" კვლავ სრულიად თვითნებურად არის ნათქვამი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დარჩებიან ამ კუნძულების მეურვე ქვეყნად.

იაპონიის ხელახლა შეიარაღების მიზნით „გადასინჯულ პროექტში" შეტანილი მუხლი, რომელიც ეხება ეგრეთწოდებულ „უშიშროებას", იმ მუხლის იდენტურია, რომელსაც შეიცავდა საზავო ხელშეკრულების თავდაპირველი ამერიკული პროექტი. ამ მუხლში, ერთი მხრივ, სიტყვაც არ არის ნათქვამი იაპონიის შეიარაღებული ძალების შეზღუდვის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, მუხლი ფართო შესაძლებლობას ანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოიყენონ იაპონია გაერთიანებული ერების ეგრეთწოდებული აქციებისადმი „დახმარების" სახით აგრესიის განხორციელებისათვის. შემდეგ, მუხლი აშკარად ითვალისწინებს, რომ ამერიკა-იაპონიის სამხედრო შეთანხმების საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ დიდხანს განაგრძობენ იაპონიის ოკუპაციას.

„გადასინჯული პროექტის" მე-3 თავის მე-6 მუხლის „A" პუნქტში ჯერ ფარისევლურად ნათქვამია, რომ „მოკავშირეთა მთელი საოკუპაციო ძალები ევაკუირებულ უნდა იქნან იაპონიიდან რაც შეიძლება მალე მას შემდეგ, რაც ძალაში შევა საზავო ხელშეკრულება, და ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 90 დღისა". შემდეგ კი ნათქვამია: „მაგრამ ეს ხელს ვერ შეუშლის იაპონიის ტერიტორიაზე უცხოელთა ჯარების დაბანაკებას ან ყოფნას ორმხრივ თუ მრავალმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც უკვე ხელმოწერილია ან იმ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც იაპონიასთან ხელმოწერილ იქნება მოკავშირეების მიერ მომავალში". იაპონია რომ კვლავაც ამერიკის ბაზა იყოს აგრესიული მოქმედების განსახორციელებლად, ამისათვის იმავე მუხლის „V" პუნქტში ნათქვამია, რომ იაპონიის ქონება, რომელიც ამჟამად ამერიკელთა საოკუპაციო ძალების განკარგულებაშია, მათ ხელში დარჩება იაპონიასთან სეპარატული საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგაც".

„საზავო ხელშეკრულების „გადასინჯული პროექტი", — ნათქვამია სინხუას სააგენტოს სტატიის დასასრულს, — ძირითადად უარყოფს სხვა სახელმწიფოთა უფლებას წარუდგინონ იაპონიას პრეტენზიები იმ ზარალის კომპენსაციისათვის, რაც ამ ქვეყნებმა იაპონიის წინააღმდეგ ომში ნახეს, და უკანონოდ ანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას უფლებას გაათავისუფლონ იაპონელი სამხედრო დამნაშავეები".

# ამერიკის შეერთებული შტატები ერევიან ირანის საშინაო საქმეებში

**ნიუ-იორკი,** 21 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნმა" მოათავსა თავისი თეირანელი კორესპონდენტის ბიჰარტის ცნობა. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჰარიმანი უხეშად ერევა ირანის საშინაო საქმეებში. ბიჰარტი წერს: „20 ივლისს, მკაცრი განცხადების შემდეგ, რომელიც გააკეთა ტრუმენის წარმომადგენელმა ჰარიმანმა, გადამწყვეტი მომენტი დადგა მოლაპარაკებაში ირანის ნავთთან დაკავშირებით წამოჭრილი კონფლიქტის საკითხზე. ჰარიმანი ცდილობდა უგულებელეყო ირანელთა მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ მიუხედავად ბოიკოტისა ამერიკის და ინგლისის ნავთის მსხვილი კომპანიების მხრივ, ისინი შეძლებენ თავიანთი ნაციონალიზებული ნავთის გაყიდვას".

„19 ივლისის სხდომა, რომელიც ძლიერ გაჭიანურდა, — აღნიშნავს ბიჰარტი, — დამთავრდა იმის შემდეგ, რაც ჰარიმანმა გადაჭრით გააფრთხილა ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის შესრულების მეთვალყურე კომისიის წევრები, რომ თუ მათ არ შეცვალეს თავიანთი პოზიცია ამ საკითხში, ისინი ვერ შეძლებენ ვერც ერთი ვედრო ნავთის გაყიდვას".

ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ბიჰარტი იუწყება, ირანის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ჰასიბიმ განაცხადა, რომ ჰარიმანი და ლევი—ჰარიმანის სპეციალური თანაშემწე, რომელიც კერძო კონსულტანტია ნავთის საკითხებში,—„ცდილობენ დააშინონ ირანელები".

# ფრანგი პატრიოტის ანრი მარტენის სასამართლო დევნა

**პარიზი,** 19 ივლისი. (საკდესი). საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ იმ ფურცლების გავრცელებისათვის, რომლებიც მოუწოდებენ ინდოჩინეთში კოლონიური ომის შეწყვეტისაკენ, ბრესტის სამხედრო ტრიბუნალმა დღეს ხუთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და იძულებითი მუშაობა მიუსაჯა მშვიდობისათვის მამაც მებრძოლს ანრი მარტენს.

# საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება წყალბურთში

[illegible] ჯიბრება საბჭოთა კავშირის 1951 წლის თასის მოპოვებისათვის წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის საპორტო საზოგადოებების წყალბურთელთა გუნდები და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

შეჯიბრებაში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ ნაკრები და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდები. „ტორპედოს" გუნდმა მაღალი სპორტული მომზადება გამოავლინა და შეხვედრა მოიგო ანგარიშით 20 : 2. საინტერესო იყო საქართველოს სსრ და უზბეკეთის სსრ ნაკრები გუნდების შეჯიბრება. ქართველმა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში კარგი მომზადება გამოავლინეს. მათ დიდი უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრის ორივე ტაიმი და ანგარიშით 15 : 1 დაამარცხეს უზბეკეთის სსრ ნაკრები გუნდი.

უკრაინის სსრ ნაკრები და ლენინგრადის საპორტო საზოგადოება „ნაპერწკლის" გუნდების შეხვედრა დამთავრდა „ნაპერწკლის" გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 5 : 2.

დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდების შეხვედრამ. ორი ტაიმის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. მხოლოდ დამატებით დროში „ვვს"-ის გუნდმა მოახერხა ერთი ბურთის გატანა, რამაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

შეჯიბრების მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ და უკრაინის სსრ ნაკრები გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა რსფსრ გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 16 : 0. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და უზბეკეთის სსრ ნაკრები გუნდებს შორის შეხვედრა მოიგო საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა ანგარიშით 15 : 2. მოსკოვის „დინამომ" ანგარიშით 16 : 1 დაამარცხა სომხეთის სსრ ნაკრები გუნდი.

შეჯიბრება საბჭოთა კავშირის 1951 წლის თასზე მიმდინარეობს ოლიმპიური წესით, დამარცხებული გუნდი მონაწილეობას აღარ იღებს შემდგომ შეჯიბრებებში.

შეჯიბრება გრძელდება.

# ფეხბურთი

22 ივლისს რიგაში გაიმართა მორიგი შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „დაუგავას" ადგილობრივი გუნდი და საზოგადოება „კრილია სოვეტოვის" (კუიბიშევი) ფეხბურთელები.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 2 : 0 კუიბიშეველთა სასარგებლოდ.

ამავე დღეს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" მოსკოვის გუნდი შეხვდა ლენინგრადის დინამოელებს.

თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 1.

გუშინ მოსკოვში საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა სტალინოს „შახტიორი".

შეჯიბრება დამთავრდა ფრედ—1 : 1.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი:** „პრავდის" 23 ივლისის მოწინავე სტატია „თავისუფალ ხალხთა კავშირი და მეგობრობა"; საერთო სათაურით „მოსავლისათვის ბრძოლის სასახელო შედეგები" მოთავსებულია საუბრები საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივან ამხ. გ. მირიაშვილთან და საქართველოს კ. პ. (ბ) მარნეულის რაიკომის მდივან ამხ. ვ. სანიკიძესთან; ლ. ბიზანაშვილის კორესპონდენცია „თელავის კოლმეურნეთა წარმატებანი".

**მეორე გვერდი:** ვ. მ. მოლოტოვისა და საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის სიტყვები პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში.

**მესამე გვერდი:** — ანგარიში ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურელის დღის დღესასწაულის შესახებ; სპორტის ახალი ამბები; ინფორმაცია პოლონეთის აღორძინების მეშვიდე წლისთავის დღესასწაულის შესახებ; ი. ბ. სტალინის მონუმენტის გახსნა ალბანეთში; ფ. ჟოლიო-კიური გამოსვლა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომაზე; უცხოეთის ინფორმაცია.

**მეოთხე გვერდი:** — უცხოეთის ინფორმაცია და ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**25 ივლისს**

6.45 — მარშები. 9.20 — მუსიკა კინოფილმებიდან. 18.10 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.20 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით— კონცერტი ა. მიქაბერიძის შესრულებით. 20.35 — ქართული მუსიკის კონცერტი. 21.00 — მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის მეორე ნახევრის ტრანსლაცია მოსკოვიდან. 21.55 — საუბარი: თურქეთი ამერიკელი იმპერიალისტების სითარეშოა. 22.15 — გადაცემა მიძღვნილი დეკაბრისტებისადმი. 22.40 — გადაცემა ციკლიდან: „მწერალი მიკროფონთან". 23.00 — სცენები ჩაიკოვსკის ოპერებიდან. 24.00 —ქართული ხალხური სიმღერები.

# დღეს თეატრებში

**გრიბოედოვის სახელობის** — „რომეო და ჯულიეტა (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „ერთხელ გაზაფხულზე" (ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში).


საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1951-52 სასწავლო წლისათვის სავაჭრო-ეკონომიკურ, საღრიცხვო-ეკონომიკურ, სახელმწიფო მომარაგების, ეკონომიკა-დაგეგმვის და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

მეცადინეობა — ქართულ და რუსულ ენებზე. ინსტიტუტი სამუშაოსაგან მოუწყვეტლად ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს: საბჭოთა ვაჭრობის ეკონომისტებს, საღრიცხვო დარგის ეკონომისტებს, სახელმწიფო მომარაგება-გასაღების ეკონომისტებს და საქონელმცოდნეებს.

კურსდამთავრებულებს ინსტიტუტი ანიჭებს იმავე უფლებებს, რასაც სტაციონარული უმაღლესი სასწავლებლები.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), მათემატიკაში (წერასა და ზეპირში), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასა და გეოგრაფიაში, საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე ნაცვლად ისტორიისა და გეოგრაფიისა — ფიზიკასა და ქიმიაში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, ტექნიკუმი წარჩინებით, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა ფრიადოსნის ატესტატით.

განცხადებას უნდა დაერთოს (რუსულ ენაზე): ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამსახურის ადგილიდან და 5 ფოტოსურათი.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის ფილიალის დირექციაში, საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე (გარდა შაბათისა), კვირაობით 10 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 30.

**დირექცია**



**თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი აცხადებს** კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად: **ლიტერატურის ისტორიის და ენის კათედრა — ქართული ენის სპეციალისტი — კათედრის გამგე: პროფესორი ან დოცენტი — 1; რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრა — პროფესორი ან დოცენტი — 1.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას უნდა ახლდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხისა და წოდებაში დამტკიცების საბუთების ნოტარიალურად შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და მთავარი სამეცნიერო შრომები.

კონკურსის ვადა 15 აგვისტომდე. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 17.


თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვეტინსპექციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. პუპაბრიას-მისი დედის **მარიამ ვახტანგის ასულ პუპაბრიას** გარდაცვალების გამო.

მ. კვეულია, ვ. საძაგლიშვილი, ა. არველაძე, ნ. გოგოლაძე, ბ. ტულუში, ვ. თურქია, ტ. ჯოგლიძე, რ. ბოკერია, რ. ანდრონიკაშვილი, ლ. აბულაშვილი, თ. მეუნარგია, ი. ბარსეგოვი თანაგრძნობას უცხადებენ შ. პუპაბრიას მისი დედის **მარიამ ვახტანგის ასულ პუპაბრიას** გარდაცვალების გამო.

ვ. ძნელაძე, დ. ლომაძე, მ. მანტკავა, ო. უნაფქოშვილი, ვ. გაჩეჩილაძე, ა. გიორგობიანი, ა. გოგიბერიძე, პ. ჯანელიძე, შ. თევზაძე, ბ. გოგეშვილი, გ. ჯაყელი, გ. კუპატაშვილი იუწყებიან **ამბროსი ქაიხოსროს-ძე ამირაჯიბის** გარდაცვალებას.

დები მაკი, ფუცუ, პაუსია, რძალი მარიამ, დისწულები აგული, დავით, გუგული დადიანები, ბიძაშვილები იდა, ლიზეტა, სიძე ვ. კეშელავა იუწყებიან **ალიოშა დავითის-ძე დგებუაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-VII, სოხუმიდან. დაკრძალვა 26-VII, ს. ლანჩხუთში (სამტრედიის რ.).

ვ. მირიანაშვილი, კ. კაპანაძე, ა. ბედიაშვილი, მ. გიორგაძე, ი. კახიანი, კ. ნაჭყებია, ლ. ჩხოკვიშვილი, შ. ჭელიძე თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ჯანჯალაშვილს **ბაბო არჯევანიძის** გარდაცვალების გამო.

რძალი ვალენტინა, ძმისწულები ლია, მერა, დავით დგებუაძეები, რძალი მ. ყიფიანი, სიძე ვ. გურგენიძე, დები იშხნელები, ვალოდია და შურა იშხნელები, ს. მხეიძე იუწყებიან **ალიოშა დგებუაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება თბილისის სომხური სახელმწიფო თეატრის რეჟისორის **ლეონ არკადის-ძე ფიდანიანის** გარდაცვალებას.

საქართველოს ცემენტის ქარხნის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან **სპირიდონ იოსების-ძე ვაწაძის** გარდაცვალებას.

გ. კეთილაძე, ტ. ჯაში, ს. ჩხეიძე, მ. ზამბახიძე, ა. ჭელიძე, ს. ნარსია, თ. სარჯველაძე, ს. დარჩია, ი. ლომიძე, კ. ჩინჩალაძე, ა. პლიევი, კ. დგებუაძე, დ. კუხიანიძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. ბზეკალავას მისი ძმის **კონსტანტინე ბზეკალავას** გარდაცვალების გამო.

გ. ხომერიკი, გ. მათეშვილი, ვ. პაპიაშვილი, ნ. ამირეჯიბი, ლ. თოფაძე, ლ. თუმანოვი, ს. ნონიაშვილი, გ. მაჩაბელი, ზ. ფაჩუაშვილი, გ. ცხაკაია, ვ. კატარმასოვსკი, ა. ბაირაშევსკი იუწყებიან **სპირიდონ იოსების-ძე ვაწაძის** გარდაცვალებას.

მ. შიხიანი, ა. ლუბანსკაია, მ. სეხნიაშვილი, ა. ლოლაძე, ი. კომახიძე, მ. მათეოსიანი, ს. პეტროსიანი, ხ. იოსებაშვილი, ფ. ეხისკელაშვილი, ი. ფილაგაშვილი, ი. ბიბილური, დ. ოსებაშვილი იუწყებიან **კონსტანტინე თომას-ძე ბზეკალავას** გარდაცვალებას.

ბიცოლა ნინო, ბიძაშვილები გოგუცა, ქეთევან, ზურაბ ლორთქიფანიძეები, რძალი თამარ ჩხაიძე, სიძე ტიმოთე კობახიძე იუწყებიან **ალიოშა დგებუაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VII, ს. ლანჩხუთში (სამტრედიის რ.).

მელიქიშვილის ქუჩა № 17 სახლის მცხოვრებნი იუწყებიან **ამბროსი ქაიხოსროს-ძე ამირაჯიბის** გარდაცვალებას.

დედა ეკატერინე, და მარო, შვილი ოლია ტატანაშვილი იუწყებიან **ნინო ხარჩილავა-ცანავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VII, 7 ს. გამოსვენება 26-VII, 6 ს. მნათობის, 12.

არტელ „მეტალისტის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ი. პატარიძეს მისი მეუღლის **რიმას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 26-VII, ქ. ქუთაისში, ლენინის, 84.

ქსენია, არჩილ ლამბაშიძეები, ქეთევან, მიხეილ კუხიანიძეები, თამარ კუხიანიძე-ცაგურია, მარიამ, შალვა გუნცაძეები, რუსუდან, ვახტანგ ქავთარაძეები ოჯახებით იუწყებიან სიძის და ბიძის **ამბროსი ქაიხოსროს-ძე ამირაჯიბის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-VII, 6 ს. მელიქიშვილის, 17.

ვ. მურვანიძე, მ. გოგუაძე თანაგრძნობას უცხადებენ გივი ხელაძეს მისი ბიძის **კონსტანტინე ბზეკალავას** გარდაცვალების გამო.

ვ. ფალავანდიშვილი, თ. სიფრაშვილი, ნ. ბაგრატიონი, შ. ტარიელაშვილი, მ. ხომერიკი, ჯ. ნეველოვა, ს. ბულაძე, კ. დურდიაძე, ჰ. მებარიშვილი, თ. ხვედელიძე, ლ. ბოჭორიშვილი, ც. ნატმელაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნ. გურალიას მისი დის **ლუცია გურალიას** გარდაცვალების გამო.

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. ბერიძეს ფედოსი დავითის ასულ ელენტი-ჩხიკვიშვილის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ექიმთა საზოგადოების პრეზიდიუმი იუწყება **ამბროსი ქაიხოსროს-ძე ამირაჯიბის** გარდაცვალებას.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, სამდივნოსი — 8-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 8-81-84, სასოფლო სამეურნეო — 8-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 8-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 8-80-84, მშრომელთა წერილების — 8-73-24, მორიგისა და გამომშვების — 8-81-65, გამომცემლობისა — 8-51-81, სტამბის დირექტორის — 8-77-79.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 03524